საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფაფიოლებით და ჭოჭოებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 8 სექტემბერი. 2016 წ. №167 (8059), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

საქართველო უნდა გადარჩეს!

იენს სტოლტენბერგი:
მოკავშირეებს მტკიცედ აქვთ განზრახული საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერება

საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ნატოს წევრობისთვის. ნატოს მოკავშირეები მხარს უჭერენ საქართველოს სვლას ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

იხ. 2 გვ.

გიორგი კვირიკაშვილი:
ნატოში გაწევრება არის საქართველოს მოსახლეობის მტკიცე ნება!

ნატოში გაწევრება არის საქართველოს მოსახლეობის მტკიცე ნება და მთავრობა აკეთებს ყველაფერს ამ არჩევანის განხორციელებისთვის.



გიზო ზარნაძე:
შვილო, ვის დაჩინჩლავო და... ვინც გამზარდო

5

პრეზიდენტი და... გასაიდუმლოებული პოლიტიკური კვლევის შედეგები

3



ანონსი

ხვალ, 9 სექტემბერს, „საქართველოს რესპუბლიკაში“

„სასოწარკვეთილი ხალხი, გაბოროტებული მაძიებლები, იგნორირებული ოქროს ფონდი“

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი აგრძელებს მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით შერჩეული იმ ადამიანთა სიების გამოქვეყნებას, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში კარგი განწყობაა. გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** ყოველ პარასკევს ქვეყნდება ასეთ ადამიანთა სიები. **12, 19, 26 აგვისტოსა და 2 სექტემბრის ნომრებში** გამოქვეყნებულმა მასალებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ეს პროცესი გაგრძელდება **9 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერშიც.**

ჩვენ ყოველ პარასკევს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკით“ და ყოველ ხუთშაბათს, 17 საათზე და ყოველ ორშაბათს, 19 საათზე, ტელევიზია „ქართული TV“-ს პირდაპირი ეთერით ამ რთულ პრობლემებზე ვისაუბრებთ.

ჩვენ ვთვლით, რომ სერიოზული შედეგების მიღწევა შეიძლება , თუ საქართველოში ძლიერს ექნება მხარდაჭერა, გვექნება არა პარტიების, არამედ ნიჭის ძალაუფლება, თუ გვექნება არა პოლიტიკური რადიკალიზაცია, არამედ ინტელექტუალური.

„ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!“

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ დაწყებულ და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ მხარდაჭერილ ამ პროცესს უკვე ვეღარავინ შეუძლის ხელს, შეეცდებიან კი და უპირველესად, ისინი, ვისაც არ აწყობს ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენის შექმნა, მაგრამ აწყობს დღევანდელი მდგომარეობა, როცა მოსახლეობის 0,1 პროცენტი არის მილიონერი და მოსახლეობის 90 პროცენტი შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს. მდიდრები ადვილად ყიდულობენ ღარიბებს და ამყარებენ ბატონყმური ცხოვრების წესებს. დემოკრატია არის იმ ქვეყანაში, სადაც ძლიერია საშუალო ფენა და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს საშუალო ფენის რაოდენობრივი ზრდისათვის.

დასანანი დამარცხება

გუშინ თბილისის სპორტის სასახლის გადაჭედილ დარბაზში საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ჩვეული შემართებით ითამაშა, მაგრამ მსაჯების აშკარა მიკერძოების გამო მინიმალური ანგარიშით — 74-76 დათმო შეხვედრა მონტენეგროს ძლიერ ნაკრებთან.



ვრცლად ხვალის ნომერში.

კობა ლიკლიკაძე:
ფლოტი საქართველოში არ არსებობს!..

8

ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი

საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის იანს სტოლტენბერგის ვიზიტი დაიწყო. სტოლტენბერგი ნატოს ატლანტიკური საბჭოს სხდომაში იღებს მონაწილეობას.

იანს სტოლტენბერგს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუა, საქართველოს ელჩი ნატოში ალექსანდრე მაისურაძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე დახვდნენ. ნატოს გენერალური მდივანი გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა.

გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ახალი შენობის გახსნა, თავდაცვის მინისტრთან ლევან იზორიასთან შეხვედრა.

დღეს, 8 სექტემბერს ნატოს გენერალურ მდივანს შეხვედრა აქვს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ამის შემდეგ უკვე პარალმენტში გაიმართება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა, რომელსაც დავით უსუფაშვილი უმასპინძლებს.

გიორგი კვირიკაშვილმა და იენს სტოლტენბერგმა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები განიხილეს

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება და ნატო-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის შეხვედრის მთავარი თემები.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო ამ ნაბიჯს ალიანსის მხარდაჭერის კიდევ ერთ დადასტურებად განიხილავს. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს და ნატოს მნიშვნელოვან წვლილს ამ პროცესში.

შეხვედრას ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი, ნატოს საერთაშორისო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ, ხოლო, საქართველოს მხრიდან – საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ნატოში ალექსანდრე მაისურაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე დაესწრნენ.

ჟურნალისტური ემბაზი

ინგა გრიგოლია - ტელემაძიძგილებელი

ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ როგორც ესპანეთში კორიდაა ერთ-ერთი მთავარი სახალხო სანახაობა, ისე ლათინურ ამერიკაშია მამლების ჩხუბი, ანუ ჩვენებურად ძიძგილაობა. მოძიძგილავე მამლებსაც ჰყავთ თავიანთი ტორერო (მატადორი), რომელიც საძიძგილაოდ გაფხორილ მამლებს აქეზებს, აგულიანებს: ძიძგი, ძიძგი, მამალა, შენ იცი და მაგანა! შეგულიანებული, აქოჩრილი მამლებიც დაუნდობლად ბდღვნიან ერთმანეთს და არის გაალმასებული ნისკარტების რაკარუკი და დეზების ჩხვერა...

სხვისი არ ვიცი, და მე კი ზუსტად ამ მტრულად დატაკებული მამლების ჩხუბს მაგონებს ქართული ტელევიზიის დედატორეროს (ზოგის თვალში იქნებ ბებიატორეროც) ინგა გრიგოლიას კვირაში ორი გადაცემა „TV პირველზე"... ცალ მხარეს ფრთებს აფართხუნებენ აქოჩრილი და ჩიჩახვშხამიანი ნაციონალები. ვთქვათ, ლევან ხაბეიშვილი, გიორგი კანდელაკი, სერგო რატიანი, გიორგი ბარამიძე, ნაციონალების მატროსოვი ირაკლი აბესაძე, გამამალებული დედლები სევდია უგრეხელიძე (რამ დაასევდიანა ნეტავი?!), ელენე ხოშტარია, ირმა ნადირაშვილი და სხვა დედალ-მამალი ფრინველები, რომლებიც მხოლოდ მეტოქე პარტიების, განსაკუთრებით კი „ქართული ოცნების" წევრთა ხორცით იკვებებიან...

და ეკრანს აზანზარებს ინგას ქვემეხური შეძახილი: ძიძგი, ძიძგი, მამალა, შენ იცი და მაგანა! და იწყება, მაგრამ რა იწყება! შემირცხვენია ლათინურ-ამერიკული მამლების ჩხუბი, ანუ ძიძგილაობა...

სხვა მიზანი ამ პირველვაშლნაჭამ ევას დროინდელ ტელეწამყვან სიტყვისმფრქვეველ გრიგოლიას ქალს არც არასოდეს ჰქონია. ადამიანების შერიგება და საზოგადოების დამშვიდება არც არასოდეს უფიქრია. ტელეეკრანი ჩხუბისა და დავიდარაბის ასპარეზად აქვს გადაქცეული... ცოტაც და ადამიანები ერთმანეთს თვალებს დასთხრიან... ცოტაც და ეკრანიდან პოლიტიკური სისხლი გადმოჟონავს... და საცირკო სანახაობა უმაღლეს სიმხურვალეს მიაღწევს. ერთმანეთში დომხალივით ირევა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ მეტოქეთა წივილ-კივილი და ინგას ქვემეხური ჭექა-ქუხილი.

და ამ ბრძოლის ეკრანის მაცქერალს, ჩემდა უნებურად მიჩნდება აზრი, რომ ინგა გრიგოლიას შემთხვევაში ტელეწამყვანის ნაცვლად დავამკვიდროთ ტერმინი **ტელემაძიძგილებელი**.

მე, მაგალითად, ჩემს ნაცნობ-მეგობრებს უკვე ასე ვეკითხები, წუხელ „TV პირველზე" თუ უყურე ინგა ტელემაძიძგილებელს?!

– ვუყურე, ბატონო, ვუყურე, და ნეტავი არ მეყურებინა... ინგას ოქროსფრად შეღებილი „ბუმბული" ველად გაჰქონდა სამტროდ შებმულთა წიოკსა...

ამ ვაისანახაობის შემდეგ მიდი და მშვიდად დაიძინე, თუ ბიჭი ხარ?

გურამ წიკლაური

P. S. ამ არხზე ამავე სახელს იმსახურებენ, ალბათ, ძველი ტელეშებერტყილები ნინო ჟიჟილაშვილი და ვახტანგ სანაიაც. აქვე ისიც უნდა ითქვას, თუ რატომ არის ახალი ამბები გრიგოლიას, ჟიჟილაშვილის და სანაიას ახალი ამბები. ესენი ქმნიან ამ ახალ ამბებს თუ რა? ნუთუ კიდევ ავად გაქეზება და შავად შეგულიანება უნდა ჩვენს ისედაც გულგასივებულ საზოგადოებას?!

გ.წ.

მოკავშირეებს მტკიცედ აქვთ განზრახული საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერება

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს რიგით მეოთხე ვიზიტის ფარგლებში გუშინ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა, რომელიც მისასალმებელი სიტყვით გახსნეს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

იენს სტოლტენბერგმა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25-ე წლისთავი მიულოცა.

„ეს არის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მეოთხე ვიზიტი საქართველოში. მსურს, მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და ქართველ ხალხს მასპინძლობისთვის. მოხარული ვართ აქ ყოფნით და თქვენთან შეხვედრით. მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და მოგილოცოთ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25-ე წლისთავი", – განაცხადა სტოლტენბერგმა და ხაზი გაუსვა, რომ ალიანსი აფასებს ქართველი სამხედროების მიერ გაღებულ მსხვერპლს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ნატოს გენერალური მდივნის განმარტებით, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე განხილული იქნება სხვადასხვა საკითხი, მათ შორის იმსჯელებენ უსაფრთხოების თემაზე შავი ზღვის რეგიონში და ყოვლისმომცველი პაკეტის განხორციელების გზებზე.

საქართველოს პრემიერ–მინისტრის თქმით, ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა ამ ეტაპზე არის უაღრესად დინამიური, რის დასტურადაც ნატო-საქართველოს ორი წარმატებული პროექტი – წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი და თავდაცვის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის სკოლა დაასახელა.

„ნატოს ვარშავის სამიტზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთვის პრაქტიკული მხარდაჭერის ახალი პროექტების შესახებ და დღეს ჩვენ ვიმსჯელებთ ამ პროექტების განხორციელების თაობაზე. ქართული მხარე ჩართულია შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე ნატოში უკანასკნელ პერიოდში დაწყებულ სტრატეგიულ დისკუსიაში. ჩვენ კარგად გვესმის, რომ შავი ზღვის რეგიონი და საქართველო არის ევროპის უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი და შესაბამისად ევროპული უსაფრთხოება წარმოუდგენელია ამ რეგიონში სტაბილურობის გარეშე," – განმარტა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველო გააგრძელებს მის ხელთ არსებული პრაქტიკული მექანიზმების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას, რათა ხელი შეუწყოს და დააჩქაროს პოლიტიკური გადაწყვეტილება ქვეყნის საბოლოო გაწევრიანების შესახებ.

„ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია

საარჩევნო პროგრამის ძირითად პრიორიტეტებს საზოგადოებას პრემიერ-მინისტრი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილი გააცნობს.

საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია დღეს 21:00 საათზე, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში", მე-11 პავილიონში გაიმართება.

აფეთქებას თბილისში საცხოვრებელი სახლის ნგრევა მოჰყვა

თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის გამზირზე სახლის ნაწილი ჩამოინგრა. ნგრევა დადიანის 142-ში მომხდარმა აფეთქებამ გამოიწვია. თვითმხილველების თქმით, საცხოვრებელ სახლში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირი ჟონავდა და აფეთქების მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

ერთი დაშავებული დამწვრობის ცენტრშია გადაყვანილი.

ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებია მობილიზებული.



პრეზიდენტი და... გასაიდუმლოებული პოლიტიკური კვლევის შედეგები

პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის დაკვეთით, პოლიტიკური პარტიების რეიტინგების თაობაზე კვლევა ჩატარდა, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ ასაჯაროებს.

დიდი მცდელობის მიუხედავად, for.ge-მ კვლევის ჩატარების თარიღის, გაწეული სახსრებისა და კვლევის შედეგების თაობაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან ოფიციალური ინფორმაცია ვერ (თუ არ) მიიღო! პრეზიდენტის პრესსამსახურში განგვიცხადეს, რომ ამ საკითხზე ადმინისტრაცია კომენტარს არ აკეთებს. შესაბამისად, ჩვენთვის კითხვები პასუხგაუცემელი რჩება – თუ საიდან დაფინანსდა კვლევა, ვის მიერ ჩატარდა და თუ რაში დასჭირდა კვლევის შედეგები ქვეყნის უფუნქციო პირველ პირს.

პოლიტიკოსთა ნაწილი ვარაუდობს, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გიორგი მარგველაშვილის გააქტიურება სწორედ ამ კვლევის შედეგებს უკავშირდება, რომლის თაობაზეც ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე პარტიას მიეწოდა.

იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საკითხზე ღია საუბარი არ ისურვა, for.ge წყაროს მიერ მოწოდებულ კვლევის შედეგებს გაგაცნობთ. წყაროს ცნობით, კვლევა ივნისში ჩატარდა, საველე ღონისძიებების ფარგლებში კი, 1500 ადამიანი გამოიკითხა.

კვლევის მიხედვით, „გადაუწყვეტელი ამომრჩევლის“ რაოდენობა 36 პროცენტამდე მერყეობს, პოლიტიკური პარტიების რეიტინგები კი, ასე გადანაწილდა:

„ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს“, გამოკითხულთა 22% ხმას „ძართულ ოცნებას“ მისცემდა, 12% – „ნაციონალურ მოძრაობას“, 6% – „თავისუფალ დემოკრატებს“, 3% – „ლეიბორისტულ პარტიას“, 2% – პატრიოტთა ალიანსს“.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კვლევა ივნისში ჩატარდა, კვლევის მიხედვით, პაატა ბურჭულაძის პარტიამ „გირჩა“-სა და გიორგი ვაშაძის გარეშე, 4% მიიღო.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიხედვით, მეორადი არჩევანიც იკვეთება –გამოკითხულთა 30% მეორადი არჩევანით ხმას „ქართულ ოცნებას“, „ნაციონალურ მოძრაობას“ – 16%.

მმართველ გუნდში პრეზიდენტის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ მას აღნიშნული კვლევის თაობაზე არაფერი სმენია.

დეპუტატის მოსაზრებით, ზოგადად, შიდაპარტიული კვლევები მნიშვნელოვანია, რათა მათ საკუთარ პროგრამებში კორექტივები შეიტანონ.

მისი თქმით, საქართველოში შიდა კვლევების გამოქვეყნებას აზრთა ჭიდილი მოსდევს და ის ახალი დაძაბულობის კერას ქმნის.

„პარტიებს შიდა კვლევები უნდა ჰქონდეთ. პრეზიდენტის მიერ ჩატარებული კვლევების შესახებ კი არაფერი მსმენია, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ გაცილებით მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ კვლევებშია. პრობლემების თაობაზე გაცილებით უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს, ვიდრე ეს NDI-ის მონაცემებშია. ერთი ნიშანდობლივი ამბავია, რომ საქართველოში გადაწყვეტილება უამრავ ადამიანს მიღებული არა აქვს და კვლევების მიმართ ნდობაც არა აქვს, რის გამოც კითხვას პასუხს არ სცემს. ასევე ანალიტიკოსები ადასტურებენ, რომ ბევრი ადამიანი საარჩევნო ყუთთან გადაწყვეტილებას ცვლის და ამ თემაზე წინასწარ არ საუბრობს“, – დასძენს ვოლსკი.

ვოლსკისგან განსხვავებით, აღნიშნული კვლევის ჩატარების თაობაზე „ყური აქვს მოკრული“ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრს ზურაბ აბაშიძეს. ის 6-პროცენტიან რეიტინგს იმედის თვალით უყურებს და ვარაუდობს, რომ მისი პარტია საარჩევნო ბარიერს გადალახავს.

– უამრავი კვლევა ტარდება და არ გამოვრიცხავ, რომ ესეც ჩატარებულიყო, მაგრამ „რუსთავი-2“-მა მეხუთე ადგილზე გადაგვისროლა, რაც არარეალურია. 6 პროცენტი დამაიმედებელია და ბარიერს იქეთ რომ ვართ, ეს დიდი საქმეა, რადგან NDI-მ და „რუსთავი-2“-მა მოახერხეს, რომ ბარიერს მიღმა დავეტოვებინეთ, რაც არარეალურია“, – აცხადებს აბაშიძე.

კანონმდებელი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტის გააქტიურება ჩატარებული კვლევის შედეგებს უკავშირდება.

„პრეზიდენტი ჩართულია საარჩევნო აგიტაციაში, მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებს და ალბათ, ეს ის კვლევაა, რის საფუძველზეც მან აქტიურობა დაიწყო. ხედავთ, რომ საქართველოში დადის და აგიტაციას ეწევა“, – აღნიშნავს აბაშიძე.

ნაციონალ მიხეილ მაჭავარიანს კვლევის შედეგების თაობაზე არაფერი სმენია, თუმცა, ფიქრობს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კვლევა უნდა გამოაქვეყნოს.

როგორც for.ge-ს მაჭავარიანმა განუცხადა, როგორც ჩანს, მარგველაშვილს კვლევის ჩატარება ვიღაც ჭკვიანმა ურჩია, მაგრამ მან შედეგები უნდა გააჯაროვოს.

„ნაციონალურ მოძრაობას“ მყარი საბაზისო ამომრჩეველი გვყავს და შედეგების გაუმჯობესება ჩვენს მუშაობაზეა დამოკიდებული. 2012 წელს, „ოცნებას“ ვუგებდით, მაგრამ საბოლოო ჯამში, არჩევნების შედეგი საპირისპირო იყო. ამერიკაში ყოველკვირეული კვლევები ტარდება და მონაცემების შედარება შეგიძლია. იქ საშუალება აქვთ დინამიკაში უყურონ, ტრამპის რეიტინგი რატომ შემცირდა და ჰილარის გაიზარდა“, ან – პირიქით, ამბობს მაჭავარიანი.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი კვლევას ყოველთვიურად უნდა ატარებდეს და დინამიკაში გამოჩნდება, რა არის ის მთავარი საკითხი, რაც მოსახლეობას აწუხებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში, პოლიტიკური პარტიებისთვის კვლევის ჩატარება ერთგვარ ფუფუნებად ითვლება, შესაძლოა, გიორგი მარგველაშვილმა კვლევისთვის საჭირო თანხები პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყო, რადგან რამდენიმე თვის წინ ჩანდა, რომ ქვეყნის პირველ პირს სარეზერვო ფონდიდან თანხები სწორედ პოლიტიკური კვლევების დაფინანსების თაობაზე ჰქონდა გამოყოფილი.

თეონა მანაგაძე

ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს მხოლოდ „ნაციონალები“ უქმნიან!

გიორგი მღებრიშვილის გუშინდელ განცხადებას ადეკვატურს და დროულს უწოდებენ „ქართულ ოცნებაში“. მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ კრიმინალური ვითარების მხრივ წინა ხელისუფლებასთან შედარებით, დღეს უკეთესი ვითარებაა.

„ოცნების“ წევრის გიორგი ვოლსკის განცხადებით, ქვეყნის სტაბილურობას ქმედებებითა და რიტორიკით მხოლოდ „ნაციონალები“ უქმნიან საფრთხეს.

„ნაციონალური მოძრაობის მხრიდან სტაბილურობაზე მიდის შეტევა, გინდა რიტორიკით, გინდა განცხადებებით, გინდა ქმედებებით. შს მინისტრი, საგარეო თუ ეკონომიკის მინისტრი ყველას გამოსვლა ამ თემაზე ადეკვატურია,“ – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ. ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებასთან დაკავშირებით, ოპოზიციას განსხვავებული აზრი აქვს.

საარჩევნოდ არეულობები მოსალოდნელი კი არა, გარდაუვალია!

უფლებადამცველ ნანა კაკაბაძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო გარემოს დესტაბილიზაციას ცდილობს, თუმცა ჯერჯერობით ეს არ გამოსდის.

როგორც კაკაბაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საარჩევნოდ არეულობა გარდაუვალია.

„ეს მოსალოდნელი კი არა, გარდაუვალია, რაც აუცილებლად მოხდება. ბუნებრივია, რომ ამ არჩევნებით ისინი პოლიტიკური სივრციდან ან გაქრებიან, ან გადარჩებიან. უამრავი პროვოკაცია უკვე სახეზეა, მაგალითად ორგანიზებული საპროტესტო აქციები. ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ეს პროცესის სრული დესტაბილიზაციისკენაა მიმართული. ჯერჯერობით ეს ვერ გამოსდით“, – განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

შეგახსენებთ, „ქართული ოცნების“ წევრებმა კახა კალაძემ და თამარ ჩუგოშვილმა, ასევე, ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განცხადებები გააკეთეს იმასთან დაკავშირებით, რომ ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნოდ პროვოკაციებს გეგმავს.

რეპეტიტორების საჭიროება ნელ-ნელა გავა სცენიდან

სკოლის მე-12 კლასის გაუქმება არ იგეგმება, განიხილება საკითხი იმის შესახებ, რომ სკოლის ბოლო ორი კლასი უმაღლესისთვის მოსამზადებელ ეტაპად გადაიქცეს – ეს განცხადება განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გააკეთა:

„შესაძლებელია, სკოლის ბოლო ორ კლასი გახდეს გაძლიერებული, უმაღლესისთვის მოსამზადებელი, როგორც კოლეჯია, გიმნაზიაა ბევრ ქვეყანაში. ფაქტობრივად მე-10 კლასის ჩათვლით სკოლა არის ჩვეულებრივი, რომელიც ცხოვრებისთვის ამზადებს, ანუ ამზადებს ზოგად უნარებში ყველა მიმართულებით და მე-11, მე-12 კლასში თუ ჟურნალისტობას აპირებთ, უკვე კონცენტრირდებით ჟურნალისტიკაზე ჩასაბარებლად, თუ ქიმიკოსობას აპირებთ ქიმიაზე, ანუ საუბარია სპეციალიზებულ, კონცენტრირებულ ბოლო 2 კლასზე. გაუქმებაზე საუბარი არ არის, არც ერთ შემთხვევაში“, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, გაძლიერებული, სპეციალიზირებული მიმართულებები რეპეტიტორების საჭიროებას შეამცირებს.

„გაძლიერებული აქამდეც იყო, ვთქვათ კომაროვის სკოლა, ვეკუას სკოლა. ჩვენ გვინდა, ეს მიმართულება გავაძლიეროთ, რომელიც ნიჭიერ, კარგ ბავშვებს ამზადებს კონკრეტული მიმართულებით წარმატებისთვის. წელსაც იქნება ამ მიმართულებით ცალკეულ სკოლებში გაძლიერების ხელშეწყობა. ჩვენ გვინდა, რომ თითოეული მიმართულებით ხელი შევუწყოთ ამ სკოლებს, რომლებიც ბოლო კლასში თავის ბავშვებს ისეთ სწავლას შესთავაზებენ, რომელიც რეპეტიტორის საჭიროებას მოხსნის მინიმუმ ამ ბავშვებისთვის. შემდეგ წლებში, ჩვენ იმედი გვაქვს, ამ ბოლო 2 კლასის გაძლიერების მეთოდით, რეპეტიტორის საჭიროება ნელ-ნელა გავა სცენიდან“, – განაცხადა მინისტრმა.

საქართველოს ბანკს ახალი გენერალური დირექტორი უხელმძღვანელებს

საქართველოს ბანკმა ახალი გენერალური დირექტორის დანიშვნის შესახებ განცხადება გააკეთა. საქართველოს ბანკს კახაბერ (კახა) კიკნაველიძე უხელმძღვანელებს. კახა კიკნაველიძე შეცვლის მურთაზ კიკორიას, რომელიც საქმიანობას საბანკო სექტორს მიღმა განაგრძობს.

მურთაზი 2008 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოს ბანკში სხვადასხვა წამყვან პოზიციაზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომპანიის განვითარებასა და წინსვლაში. საქართველოს ბანკის გუნდი დიდ მადლობას უხდის მურთაზს მისი ღვაწლისთვის და წარმატებებს უსურვებს მომავალ საქმიანობაში.

პროქართული დიპლომატის პასუხი თავდაყირა მოაზროვნე პოლიტიკოსებს და ექსპერტებს

თედო ჯაფარიძე:

საქართველო – დასავლეთის ბუნებრივი პარტნიორი რეგიონში

4. ზესახელმწიფოების ინტერესების ცენტრში მყოფი საქართველო უნდა გახდეს არა „განხეთქილების ვაშლი“, არამედ პრობლემების მოგვარების შემადგენელი ნაწილი

ოდნავ განვავრცობ „თავის ტკივილის“ თემას. ჩვენი ოპონენტები ხშირად საუბრობენ, რომ თუ საქართველო დასავლეთსა და რუსეთს შორის „განხეთქილების ვაშლის“ როლში დარჩება, ამით მსოფლიოს ყურადღების ცენტრში გარანტირებულად მოექცევა. თავს ნებას მივცემ და ოპონენტებს ვუპასუხებ ჩემი კარგი ნაცნობის სელესტა ვოლანდრის სიტყვებით, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფროსი მრჩეველია რუსეთისა და ცენტრალური აზიის საკითხებში. მისი თქმით, ამერიკაში არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთი არის ძლიერი ქვეყანა და მისი იზოლაცია შეგვიქმნის არა მხოლოდ პრობლემას, არამედ თავად გახდება მისი წყარო. ჩემი აზრით, ამით ბევრია ნათქვამი. გასაგებია, რომ ამერიკაშიც და სხვაგანაც არსებობს უფრო ხისტი მოსაზრებები და პოზიციები, მათ შორის, რადიკალურიც. ჩნდება კითხვა, რაღა ამ, პრინციპში, მარგინალურ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომლებსაც სერიოზული ამერიკელი პოლიტიკოსებიც უკვე ახლოს არ იკარებენ, დაესესხა რიტორიკაში წინანდელი ხელისუფლება, რომელიც ახლა, უკვე ოპოზიციაში მყოფი, გვიკიჟინებს მოძველებულ, „ნეოკონებისთვის“ დამახასიათებელი მოსაზრებების და მიდგომების გამოყენებას, მათ შორის რუსეთთან მიმართებაში? შეერთებული შტატების დღევანდელი პრაგმატული (თუმცა უაღრესად რთული) ურთიერთობები რუსეთთან განპირობებულია არა იმით, რომ ამერიკელ პოლიტიკოსებს ასე უცებ „შეუყვარდათ“ რუსეთი – ცნობილია, რომ ეს აპრიორი შეუძლებელია იდეოლოგიურად და ინსტიტუციურადაც და, აქედან გამომდინარე, ეს უბრალოდ ვერასოდეს მოხდება. მაგრამ დღეს წინა პლანზე გამოდის რეალისტური და რაციონალური პოლიტიკა და ეს ეხება არა ზოგადად რუსეთთან ურთიერთობებს, არამედ უფრო რთულ დილემას – როგორ უნდა იმართებოდეს ამერიკის და მთლიანად დასავლეთის ურთიერთობები იმ „რუსეთთან“, რომელიც დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის რეალობაა და რომელთანაც დასავლეთი იძულებულია, იქონიოს სხვადასხვა სახის პოლიტიკა გლობალური, თუ რეგიონული მასშტაბით. ერთია, მაგალითად, ამერიკის რუსეთთან თანამშრომლობა სირიაში, და მეორეა ეს ურთიერთობები საერთაშორისო ტერორიზმთან მიმართებაში, როდესაც ამ პრობლემების მოგვარებისთვის ამერიკას რუსეთთან კოოპერირება სჭირდება. ამასთან ერთად, ვიცით, რომ დასავლეთი უკრაინასთან დაკავშირებით რუსეთთან ვერ თანხმდება და როგორც ცნობილია, რუსეთსა და ამერიკას შორის უთანხმოებაა ევროპასთან და კონკრეტულად ევროკავშირთან მიმართებაშიც; ამასთან, თავად ევროპასა და ამერიკას შორის უამრავი გადაუწყვეტი საკითხი დაგროვდა; პრობლემებია ევროკავშირის შიგნით და „ბრექსიტი“ ამის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა.

მოკლედ, როგორც ამერიკელი დიპლომატები ამბობენ ხოლმე, „რუსეთთან ამერიკას, და მთლიანად დასავლეთს, სხვადასხვა ზომის და წონის თევზი აქვს შესაწვავი“. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ და ჩვენი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები და მიზნები უნდა მოვარგოთ არსებულ რეალობას. ისევ და ისევ, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ჩვენი ინტერესების იგნორირებას, ან მათი დასავლეთის რადარებიდან მოხსნას. ეს ნიშნავს იმის გათვალისწინებას, რომ ამ ურთულეს პროცესებში შესაძლოა მოხდეს უამრავი, ჩვენთვის უცნობი და ჩვენთვის მიუღებელი გარიგება, მიღწეულ იქნას მთელი რიგი „გრანდიოზული კომპრომისები“, მათ შორის შესაძლოა ჩვენთვის საზიანოც ან „უცნაური ხასიათისაც“. ამგვარი რამ ხომ პირველად არ ხდება კაცობრიობის ისტორიაში? ასეთი ბევრჯერ მომხდარა ჩვენთან მიმართებაშიც. გავიხსენოთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია! სწორედ ამიტომ, მყარად უნდა ვიდგეთ ჩვენი ინტერესების დასაცავად, არ უნდა დაგვავიწყდეს წარსულის პრეცედენტები და ვიყოთ რეალისტები და პრაგმატულები, პროგნოზირებადი ჩვენი პარტნიორების და ასევე ჩვენი ოპონენტების მიმართ. ვიყოთ ფრთხილად და გვახსოვდეს ის, რასაც ერთი აფრიკული იგავი გვამცნობს: „იმის მიუხედავად სპილოები ესიყვარულებიან თუ ეჩხუბებიან ერთმანეთს, ნებისმიერ შემთხვევაში მათ ქვეშ ბალახი ითელება!“

ზოგჯერ ზედმეტ აჟიტირებას მივეცემით ხოლმე დასავლეთის მხრიდან რუსეთის მისამართით გაკეთებულ ამა თუ იმ „მკაცრ განცხადებასთან“ დაკავშირებით, ან ზედმეტად ვკეკლუცობთ ამერიკასა თუ ევროპაში გამართულ რომელიმე „მაგარ შეხვედრასთან“ დაკავშირებით. ეს ყველაფერი კარგია, თუკი ამას მოუზომელი ეიფორია არ გადაფარავს. ამავე დროს ჩვენ გვმართებს, კარგად გავიგოთ, თუ რა აზრია ჩადებული, ან რა იკითხება ამ განცხადებების სტრიქონებს შორის ან მათ მიღმა, და ადეკვატურად აღვიქვათ ყველა ის „ღიმილიანი მესიჯი“, რომელიც მაღალი დონის შეხვედრებზე გაიჟღერებს. პირადად მე ბევრი ასეთი შეხვედრის მომსწრე და მონაწილე ვარ. დავსწრებივარ წარმატებულ და არცთუ შედეგიან შეხვედრებსაც. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების ბოლო პერიოდის მაღალი დონის ვიზიტები რადიკალურად განსხვავდება მთელი ჩვენი განვლილი პერიოდის შეხვედრებისგან, რომლებსაც, მიუხედავად მეგობრული და თბილი ფონისა, მაინც უფრო პატრონსა და კლიენტს შორის საუბრის ხასიათი ჰქონდა. ამ ბოლო დროს კი ვხედავ, რომ ეს არის სტრატეგიული ხასიათის საუბრები თანასწორუფლებიან პარტნიორებს შორის. ბოლო თვეების განმავლობაში გამართული შეხვედრებიდან მიუნხენში, ვაშინგტონში, ბერლინში და ანკარაში ძალიან კმაყოფილი გამოვედი. იყო ბევრი „სითბო და ღიმილი“, მაგრამ ასევე უაღრესად სერიოზული საუბარი შედგა, რაც საქართველოს და მთლიანად ჩვენს რეგიონს, ჩვენი ქვეყნის პრობლემებსა და სტრატეგიულ პერსპექტივებს შეეხებოდა. გასაგებია, მავანი მეტყვის, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრები ყოველთვის თბილი და იმედის მომცემია და თუ რამდენად აისახება და გარდაიქმნება ეს „სითბო და ღიმილი“ რეალურ პოლიტიკაში, ეს სულ სხვა საქმეა. ჩვენი პარტნიორების პოზიტიური განწყობების პრაქტიკაში რეალიზება უკვე ჩვენზეა დამოკიდებული და პირველ რიგში განპირობებულია იმ სწორი პოლიტიკის გატარებაზე, რომლის თაობაზეც შეთანხმებები უკვე მიღწეულია. ჩვენი მთავრობის მიმართ ნდობის ხარისხი დიდია და ამას გაფრთხილება სჭირდება! საქართველომ, როგორც მის უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორთან აშშ-სთან, ასევე წამყვან ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, არა მხოლოდ დაამტკიცა ქმედითუნარიანობა, მოახდინა გონივრული და მოქნილი პოლიტიკის დემონსტრირება, არამედ გახდა „საჭირო ქვეყანა“, სანდო და საიმედო პარტნიორი.

> **NATO-ს, ევროკავშირს, შეერთებულ შტატებსა თუ ევროპის სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ დაგვეხმარონ ურთულესი მიზნების მისაღწევად. ჩვენ კი, როგორც საზოგადოებას, გვევალება დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენს მიერ არჩეული გზა მარტივი არაა და წინ უამრავი სირთულე და გამოწვევა გველის.**

5. საქართველოს ევროატლანტიკური გზა: ეფექტიანობა ეფექტურობის ნაცვლად

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მხოლოდ მეოთხედი საუკუნეა გასული. ეს პერიოდი მძიმე და პრობლემური აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლება სრულად აცნობიერებს რთულ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ რეალობას. ჩემი აზრით, გაუმართლებელია, რომ ქვეყანა ილუზიებსა და მუდმივი მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობდეს. გამახარა იმ ფაქტმა, რომ ამჯერად, ვარშავის NATO-ს სამიტის წინ არავის უთქვამს, რომ, „MAP-ზე მეტს“ მივიღებდით. სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს ალიანსის სრული მხარდაჭერა, რომელიც ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის მიმართულ კონკრეტულ ღონისძიებებში გამოიხატება, რაც გულახდილად რომ ვთქვათ, არ არის MAP-ზე ნაკლები.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსი უცვლელია. ეს არის ჩვენი მოსახლეობის არჩევანი, რომელსაც ალტერნატივა არ და ვერ ექნება, ვინაიდან ის ჩვენს თვითმყოფადობას შეესაბამება და პასუხობს ჩვენს ღირებულებებს. მე ღრმად მწამს, რომ თავად დაახლოების პროცესი NATO-სთან და ევროკავშირთან არანაკლებ მნიშვნელოვანი და ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე ამ ორგანიზაციებში გაწევრება. აღნიშნული პროცესი საქართველოს საშუალებას აძლევს, ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების დახმარებით მოახდინოს ქვეყნის მოდერნიზება, გაატაროს წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, ინსტიტუციური დემოკრატიის საფუძვლებზე ააშენოს სტაბილური საზოგადოება. ჩვენი პარტნიორებისთვის საქართველო უნდა გახდეს ფუნქციონალური, ხელსაყრელი და საინტერესო ქვეყანა. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველო უკვე აღიარებულია, როგორც განვითარებადი დემოკრატიის მაგალითი ჩვენს რეგიონში და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში. თუმცა ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს შედარება ხდებოდეს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, თუმცა რატომ მხოლოდ მათთან?

6. საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა გახდეს ყველა პოლიტიკური ძალის ზრუნვის საგანი, რაც კონცეპტუალური კონსენსუსით მიიღწევა

როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველომ ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული „დანაღმული გზა“ უდანაკარგოდ უნდა განვლოს ისე, რომ შეინარჩუნოს ევროპუ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 166

ლი და დემოკრატიული ფასეულობებისა და პრინციპებისადმი ურყევი სწრაფვა და ამასთანავე, ეს რთული პროცესი მაქსიმალურად უსაფრთხო გახადოს. სწორედ სტაბილური და უსაფრთხო საქართველო წარმოადგენს მეზობელი ქვეყნების სტაბილურობის გარანტიას, მათ შორის რუსეთის სამხრეთი ნაწილისთვისაც. ეს ყველაფერი რუსეთის მმართველებს წარსულში კარგად ესმოდათ. ესმის კი ეს რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელობას? არ მგონია... და, თუ ესმით, მხოლოდ მათთვის მისაღები ინტერპრეტაციით.

ჩვენი ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა ძირითადი პოლიტიკური ძალების კონსენსუსის მოედანი უნდა გახდეს. NATO-ს ვარშავის სამიტის ფარგლებში გამართულ ექსპერტთა ავტორიტეტულ ფორუმზე დასავლელ კოლეგებს ამაყად ვაჩვენე საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების მიერ მიღებული ერთობლივი დეკლარაცია ევროატლანტიკური არჩევანის ხელშეუხებლობის შესახებ. ჩვენ უნდა გვაერთიანებდეს ფასეულობები, პრინციპები და პოზიციები, რომლებიც უფრო ძლიერსა და მიმზიდველს გახდის ჩვენს სახელმწიფოს.

NATO-სკენ მიმავალი გზა ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო პროგრამით – „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. სწორედ მის განხორციელებაში უნდა ასახულიყო ქართველი ხალხის ისტორიული მისწრაფება პროგრესისკენ, დასავლური ცივილიზაციისკენ, დემოკრატიული იდეალებისა და ღირებულებებისკენ. NATO ხომ მხოლოდ სამხედრო ალიანსი არ არის, არამედ ეს არის განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური გაერთიანებაც, რომელიც, პირველ რიგში, ზემოთ აღნიშნულ საზიარო დემოკრატიულ ფასეულობებსა და პრინციპებს ეფუძნება. ამ კავშირში ინტეგრაციის პროცესი უაღრესად მომგებიანია ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელსაც უმკაცრესი სტანდარტების დაცვის გზით, მათ შორის პოლიტიკური ინსტიტუტებისა და დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებით, სურს, გაატაროს შესაბამისი რეფორმები და გახდეს ჭეშმარიტ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქვეყანა. სწორედ ეს მიზანი დაისახა საქართველომ და თანმიმდევრულად მიიწევს ამ მიმართულებით.

NATO-სთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, დღეს საქართველო უსაფრთხოების მომხმარებლიდან, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე, უსაფრთხოების გლობალურ მიმწოდებლად გადაიქცა. დასავლური სამყარო საქართველოს სანდო და თანასწორ პარტნიორად აღიქვამს. NATO-ს ქვეყნები, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში, ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში გვეხმარებიან. ეჭვგარეშეა, რომ პირველ რიგში, ასეთი თანამშრომლობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მაღალია დემოკრატიის ხარისხი და მდგრადობა საკუთრივ საქართველოში. ამასთან ერთად, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ NATO-სკენ მიმავალი გზა და ალიანსის წევრობა არ ნიშნავს შიდა პრობლემების, მათ შორის ტერიტორიული საკითხების ავტომატურად გადაწყვეტა-მოგვარებას. ეს ჩვენმა პარტნიორებმა კარგად იციან. საქართველომ ეს არჩევანი გააკეთა იმისთვის, რომ შეუერთდეს განვითარებულ და ცივილიზებულ საერთაშორისო თანამეგობრობას, როგორც ჭეშმარიტად დემოკრატიული, დამოუკიდებელი და პარტნიორებისათვის სასარგებლო სახელმწიფო.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის, ე.წ. „ევრაზიულ“ ტრაექტორიაზე მოქცევა ვერც ერთ პრობლემას ვერ გადაწყვეტს და წინა და ასევე ჩვენი თაობის ბრძოლისა და პრინციპების უგულებელყოფად ჩაითვლება. თანამედროვე პოლიტიკა მექანიკურ ცვლილებებს არ ცნობს. საუბარია იმ ქვეყნის დემოკრატიულ მომავალზე ქვეყნისა, სადაც ჩვენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები იცხოვრებენ. დღეს რეფორმებისა და მოქმედების რთულ გზაზე ვდგავართ და, უპირველეს ყოვლისა, ეს გზა ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების გასავლელია. NATO-ს, ევროკავშირს, შეერთებულ შტატებსა თუ ევროპის სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ დაგვეხმარონ ურთულესი მიზნების მისაღწევად. ჩვენ კი, როგორც საზოგადოებას, გვევალება დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენს მიერ არჩეული გზა მარტივი არაა და წინ უამრავი სირთულე და გამოწვევა გველის.

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია იყოს დასავლეთის ეკონომიკური სამყაროს ნაწილი. ამაში გამოიხატება ჩვენს მიერ არჩეული გზის სისწორეც. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულმა ასოცირების შესახებ შეთანხმების სავაჭრო ნაწილმა საქართველოს ხუთასმილიონიან ბაზარზე გასვლის პერსპექტივა გაუხსნა. გარდა ამისა, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ამან საქართველოს საშუალება მისცა, მესამე ქვეყნებისათვის გახდეს დამაკავშირებელი ხიდი ამ ბაზარზე გასასვლელად და პირიქით. ყოველივე ეს საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ტექნიკური მოდერნიზაციის საშუალებას იძლევა. საქართველოსა და ევროპას შორის ისტორიულად არსებობს კულტურული კავშირები. ევროატლანტიკური ინტეგრაციის ეტაპობრივი პროცესი არანაირად არ არღვევს ეროვნულ იდენტურობას და თვითმყოფადობას.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲕᲘᲡ ᲓᲐᲩᲘᲜᲩᲚᲐᲕᲝ ᲓᲐ... ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲖᲐᲠᲓᲐᲝ

ᲔᲡ ᲐᲛᲐᲖᲠᲖᲔᲜᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲐ ᲪᲮᲝᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲛᲐ – ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲮᲐᲓᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲩᲐᲕᲐᲪᲕᲘᲝ!

თუ მთელ ერს არა, მის მნიშვნელოვან ნაწილს, სწორედაც რომ გაუკეთილშობილებელი ვარიანტი ევარდისფერება – ვინც გამზარდაო!

ეს ასე ვთქვათ, პროლოგის მაგიერ.

ივანიშვილმა გადაგვაგდოო! მის დაპირებებს ავყევით და, თავისას რომ მიაღწია, ჩვენ ყველანი გადაგვაგდოო! ორი გროში დაგვახარჯა და მილიარდობით ლარი აგვაფცქვნაო!

გეყურებათ, ხალხო, ივანიშვილმაო!!!

თუ ჭეშმარიტება გსურთ – ვინც გამზარდაო!

თუ უფრო გალანტურად – ვისაც ჩავაცვიო!



ვგონებ, საზოგადოებას თავი მოვაბეზრე, ცხონებულ **ოტია იოსელიანთან** ჩემი, ლამის ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის შეხსენებით, მაგრამ, ჯანი გავარდეს! – ამ ერთხელაც და, იქნებ, საბოლოოდაც!

1997 წელია. უშუქობის, უცისფერეკრანობის, უჭმელობის, ერთი სიტყვით, უქეიფობის ხანა.

წყალტუბოდან მირეკავს ოტია.

– ჩამოდი, ჩამოდი შენ აქ. ერთი საქმეა გასარკვევი!

– ორი დღეც მაცალე, პენსიას ავიღებ და რვა ლარი მაქეთაც მეყოფა და აქეთაც.

– ჩამოაღწიე აქნამდე და მაქეთ მე გაგიშობ ჩემი ფულით!

არ ვუჯერი ყურს. ოტია და ასეთი ხელგაშლილობა!

ჩავაღწიე.

– ჩემთან მოვიდნენ აქანა ორნი, ასე, შუახნის კაცები იყვნენ. დიდი ამბით მომიკითხეს, ხომ კარგადო!

მადლობა უფალს, არა მიშავს, მარა, თქვენ რო ვერ შეგიცანით-მეთქი? ივანიშვილმა გამოგვგზავნაო და აგერ, ამ მაგიდაზე კონვერტი დადეს. შევცბი, რასაკვირველია! კონვერტი ცარიელი ხომ არ იქნებოდა!

ვინაა, რასთან დაკავშირებით-მეთქი.

აქ ორი ათასი დოლარიაო. ჭინჭველები აწრიალდნენ ზურგის კანზე, თან, არ მეუბნებიან, ვინცაა. ამან კიდევ უფრო დამაეჭვა.

არადა, მე უკვე ვიცოდი, რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, ბ-ნი ივანიშვილის შესახებ და დავამშვიდე ოტია: ქველმოქმედი კაცია, ასე უნიშნავს სტიპენდიებს ცნობილ ადამიანებს: მწერლებს, მხატვრებს, არტისტებს, სპორტსმენებს-მეთქი.

– კი, მარა, სამაგიეროს არაფერს ითხოვს?!

– არაფერს, შენ ოღონდ წერე და იღვაწეო!

გამომწვევად გადმომხედა გაზარმაცებული მარცხენა თვალით, დევიჯერო, მეხუმრებაო?!

– მარტო შენ კი არა, კახი კავსაძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, რეზო ჩხეიძეს, რევაზ ლაღიძეს, აკაკი ვასაძეს, გიგა ლორთქიფანიძეს. ეს, რაც მე ვიცი. ახლა...

– მეიცა, მეიცა... ჩვენ მაინც ჩვენი ვქნათ. სამაგიეროდ, მცირეფორმატიანი გაზეთი მაინც გამოვცეთ ან რაღაც.

– გაზეთი, რაც არი, კითხულობს ვინმე?! არ თხოულობს ეს კაცი არავისგან სამაგიეროს.

– დევიჯერო, ასე ალთა-ბალთა, უკონტროლოდ არიგებს ფულებს?!

– არა, იცის, ვისაც ეკუთვნოდეს! ასე რომ, თბილისში დასაბრუნებელი თანხა შენზე და ივანიშვილზეა.

ამასობაში, შესანიშნავმა მომღერალმა სულიკო კოროშინაძემ შემოაბიჯა ჭიშკარში და გუნებაგამოკეთებულმა ოტიამ ომახიანად გასძახა მეუღლეს: ნანაია, დაკალი მაგ ყვინჩილა, ტაშტქვეშ რომ დავამწყვდიე დილით, ბატონი სულიკო გვეწვია, კოროშინაძე.

ნანამ ისეთი თვალებით გამომხედა, ხედავ, რა დღეში ვარო? თან გაკვირვებული ეკითხება: ქათამიც მე დავკლა?!

* * *

...**მას** მერე ლამის ორი ათეული წელიწადი მიიწურა.

დაუდგრომელი და სულ მუდამ ფუტკარივით მოფუსფუსე, ოთხმოცს მიტანებული, მაგრამ კვლავ საღად მოაზროვნე და აქტიური ოტია, თანდათან მოეშვა, თითქოს, სხეული დაუმძიმდაო, უკვე ხშირ-ხშირად ითქვამდა სულს სიარულის თუ საუბრისას.

პოლემიკაში მუდამ „პირველი სკრიპკა“ ახლა პირში აღარავის ეჩრებოდა და, პირიქით, ცოტას ლაპარაკობდა, უმეტესად, უსმენდა. არადა, მოსმენაც, ეტყობოდა, უჭირდა...

მაინც ვერა და ვერ შეეშვა გრძელ მუნდშტუკს, თუმცაღა, ნაფაზი უწინდელზე სუსტი იყო.

მანანასთან ვართ, მის ერთადერთ ქალიშვილთან (ვახუშტი ბაგრატიონის 74). მოშუადღეებულია.

წამოწოლილა ტახტზე და თხელი საბანი ახურავს, მაშინ როდესაც გარშემომყოფთ, ყველას სული გვეხუთება სიცხით.

ახალი ჩამოსულია ავსტრიიდან, სადაც უმძიმესი ოპერაცია გაუკეთეს ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** დაფინანსებით მეტად პრესტიჟულ კლინიკაში.

დეტალი: წინასაოპერაციო პერიოდიც ისევ პრესტიჟულ სასტუმროში გაუტარებია თანმხლებ ქალბატონ თამარ ლორთქიფანიძესთან ერთად). ცნობისათვის: დღე-ღამეში ერთი ოროთახიანი ნომერი, არც მეტი, არც ნაკლები, 1500 ევრო ღირებულა. რა თქმა უნდა, ფინანსურ მხარეს „ქართუ ბანკი“ აგვარებდა ანუ ყოველგვარ ხარჯებს ბანკის დირექტორი, ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი** ადევნებდა თვალს.

ერთხელაც იყო, შეშფოთებული ზარი გაისმა ბანკიდან, რა ხდება, ბატონი ოტია თავს როგორ გრძნობსო! (გაუკვირდათ, თურმე, 1500 ევრო რომ არ ჩამოაკლდა დეპოზიტს).

ძალიან გაუჭირდა ასეთ ზეკომფორტულ, დღედაღამ გაბრდღვიალებულ სასტუმროში მოსვენება, ვერ შეეგუა, ვერ აიტანა ასეთი ზიზილპიპილო, ამოდენა სათავსოები, ბრჭყვიალა ნივთები. ამას ხომ მკრთალშუქიან, მყუდრო, სიგარეტის ბოლით გაჯერებულ სენაკში უყვარს წერაც და მოსვენებაცო!

ჰოდა, ერთმა ახალგაზრდა კაცმა, ემიგრანტმა და აქ მაცხოვრებელმა, მოაკითხა, ხომ არაფერში შემეძლება დახმარება, მიმსახურეთო.

კეთილი სული ავსტრიაშიც კეთილია! – აგაშენა, შვილო, ღმერთმა! რავა არ მჭირდები! ამ სრა-სასახლეში თვალი ვერ მომიხუჭავს, ტუალეტში რომ შევდივარ, თავი სილამაზის სალონში მგონია, ისთეა სუნამოს სუნით აქოთებული! 1500 ევრო ჯდება ერთი დღე-ღამე და გეიკითხე ერთი, ამ ახლომახლოში, კერძო ბინაც რო შეიქნეს, არ ვეძებ, რავა, ღამის გათევაში ასი ევრო გადევიხადოთ, არ ეკმარებათო?!

გულზე მოეშვათ „ქართუ“-ში და, ვისაც იყო, მოახსენეს ცრუ განგაშის თაობაზე.

...ავმა სიმსივნემ მაინც თავისი გაიტანა და 2011 წლის 3 ივნისს, „ქართული ოცნების“ ტრიუმფალურ გამარჯვებამდე სამიოდე თვით ადრე, ბატონი ოტია გარდაიცვალა.

შარშან, დაბადებიდან 86-ე წლისთავი საკმაოდ ფართოდ აღინიშნა, განსაკუთრებით, მის მშობლიურ წყალტუბოში.

და აი, 8 ივნისს, ზუსტად ერთი კვირით ადრე ოტიას დაბადების დღემდე, ჯერ კიდევ არაოფიციალურ სახლ-მუზემის ჭიშკარს, ათიოდე კაცი მოადგა.

ზარის ხმაზე ოტიას უმცროსი ვაჟი, **დაჩი,** დინჯად დაუყვა უსაშველოდ გრძელ ქვის კიბეებს, მაგრამ, როცა ეზოში შემოსულ ხალხში ბატონი ბიძინა ივანიშვილი შენიშნა, ნაბიჯს მოუჩქარა.

ყოფილ პრემიერს, მეუღლის გარდა, რამდენიმე პირიც ახლდა.

მოინახულეს მწერლის ბარელეფიანი საფლავი, დაათვალიერეს მუზეუმი და ბატონი ბიძინა დაჩის ეკითხება, პრობლემა ხომ არაფერი გაქვთო.

– ეს სახლი 33 წლის წინათაა აშენებული, კედლებს, ინტერიერს კიდევ არა უშავს, მაგრამ თუნუქის სახურავს გაუჭირდა, წყალს აპარებს.

– ჩვენც ნუ გავუჭირვებთ მერე, ავდგეთ და ახალი გადავაკრათ.

– ახლის გადაკვრა, ალბათ, ძვირი დაჯდება, აი, სადაც აპარებს...

– მთელ საჩხერეს გამოვუცვალე სახურავები და ეს ერთი სახლი რაღა შეიქმნა! – გაიღიმა, – მოვლენ, მოგაკითხავენ და შეაკეთებენ ამ დღეებშიო.

რა დასამალია და, ხშირად, ასეთი დანუგეშებები მხოლოდ დროებით ამშვიდებს მთხოვნელს, რადგან, ისე ჩაირიხინებს ეს „ამ დღეებში“, სიტყვა სიტყვად რჩება.

მართლაც, უკვე მეორე დღეს დიდი სატვირთო მანქანით მოვიდნენ, გადმოზიდეს თუნუქის ფურცლები გადმოიტანეს საჭირო ხელსაწყოები, შეუდგნენ მუშაობას და 14 ივნისისთვის სახურავი მზად იყო.

* * *

ᲐᲮᲚᲐ კი, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, დიდი სურვილი გამიჩნდა, ზუგდიდის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის ერთ-ერთ კანდიდატს, ყოფილ პირველ ლედის, ქალბატონ **სანდრა რულოვსს** ვკითხო, თუ შევახსენო ერთი ეპიზოდი.

დიდად პატივცემულო ქალბატონო სანდრა! იქნებ დაძაბოთ მეხსიერება და გაიხსენოთ თქვენი მეუღლის ზეობის დროს, კერძოდ, 2004 წელს, ქრისტესშობის თვის ერთ დღეს რომ თქვენი სურვილით ეწვიეთ ბატონ ოტიას და ძღვნად დეზებიანი მამალი მიართვით, ეზოში შემოგებებულ მასპინძელთან გულითადი საუბრისას რომ მიშას მობილურის ზარი წამოგეწიათ და საკმაოდ უკმეხად დაგელაპარაკათ, როცა გაიგო, ბატონ ოტიასთან ბრძანდებოდით სტუმრად, გახსოვთ, ხომ? და როგორ მოიქცა მისი უდიდებულესობა? მოგიწონათ კეთილი ნების ვიზიტი და გაუხარდა? გთხოვათ, ბატონი ოტია დამალაპარაკეთო? არა? რატომო მერე?!

...სწორს ამბობენ ნაცები, სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორიც დღესა და ღამეს შორისო!

თუმცა, მკითხველისთვის მიგვინდვია: რომელია მათ შორის დღე და რომელი – უკუნი.

სწორია, აბა, სად ბიძინა და სად – მიშა!

ივანიშვილის დევიზია: „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“. (ილია),

სააკაშვილის დევიზი – „ძარცვე ნაძარცვი“. (ლენინი).

ᲒᲘᲖᲝ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ.

ბედნიერებას ადევნებული კაბინეტური რეპორტაჟი აჭარიდან

ბიძინა ივანიშვილის აჭარის მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის კვალდაკვალ

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები, არამედ, იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რაც საქართველოში და საქართველოს ირგვლივ გეოგრაფიულ სივრცეში სუფევს.

ამიტომ, ამ არჩევნების მიმართ ყველას თავისი ინტერესი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებს ზოგადად აზრი არა აქვს მოცემული საარჩევნო კანონმდებლობის პირობებში, მეც მაქვს ჩემი ინტერესი. ეს ინტერესი რეალური მდგომარეობის სრული გამოაშკარავება და მომავალში უარსაყოფი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მხილებაა. ჩემი აზრით, ეს არა მარტო ჩემი, არამედ ერის ჯანსაღი ნაწილის საზოგადო საქმეა.

ამ მიზნით, არჩევნებთან დაკავშირებით ყველაფერი უნდა შევისწავლოთ და გავანალიზოთ.

გამომდინარე ნათქვამიდან, ბუნებრივია, უდიდესი ინტერესის საგანია ამჟამად საქართველოში ყველაზე გავლენიანი პირის – ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო აქტივობა.

ამ აქტივობებიდან ყველაზე ორგანიზებულია ე.წ. „რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან“ შეხვედრები.

პირველი ასეთი შეხვედრა ბ.ივანიშვილმა 1 სექტემბერს გამართა აჭარის მასმედიის წარმომადგენლებთან GDS-ის სტუდიაში (წამყვანები: ჟურნალისტები ნათია თოიძე და მიშა ფეიქრიშვილი).

მთავარი კითხვა, თუ რით განსხვავდებოდა „ქართული ოცნების“ კოალიციის მმართველობის ოთხი წელი (2012-2016 წწ.), წინა ხელისუფლების მმართველობისგან – უპასუხოდ დარჩა საეთერო დროის უქონლობის გამო (!!!). ალბათ, ამ შეკითხვაზე პასუხი სამომავლოდ დაგეგმილ შეხვედრებზე მაინც გაჟღერდება.

ჩემთვის ამან განსაზღვრა შეხვედრის პოლიტ-ეკონომიკური ფასეულობა.

სხვა უკვე დეტალები იყო. თუმცა დეტალებიცაა და დეტალებიც.

ბ. ივანიშვილმა დაადასტურა, რომ მისი ინტერესია „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება.

ბ. ივანიშვილმა გამოამჟღავნა იმის სურვილი, რომ მას არ უნდა ჰქონდეს არავითარი პასუხისმგებლობა და განაცხადა ამის შესახებ.

შეკითხვებზე – ქობულეთის სტატუსთან დაკავშირებით, ხელვაჩაურში „ოცნების ქალაქად“ სამხედრო ბაზაზე შესახლებული ადამიანების პრობლემებზე, იპოთეკარებზე, ხულო-ადიგენის გზის მშენებლობაზე – პასუხები და პასუხისმგებლობა ხელისუფლებისკენ გადაამისამართა, ხოლო, მათი შეუსრულებლობა ხელისუფლებაში ყოფნის მოკლე ვადითა და „კულტურული“ მმართველობით ახსნა.

გონიოს მიწების პრობლემებთან დაკავშირებით ბ.ივანიშვილმა საკითხი ხელისუფლების უფრო სწრაფად მოქმედების შეუძლებლობამდე დაიყვანა.

გონიოს მიწების საკითხი ურთულესი საკითხია. საერთოდ მიწის საკითხს უნდა მოჰყოლოდა ახსნა-განმარტება, თუ რატომ ვერ მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრობის დროს მიწის საკითხის მოწესრიგება და „მიწის კოდექსის“ მიღება? რატომაა რომ დღეს, როდესაც ხელისუფლებას მხოლოდ „ქართული ოცნება“ აკონტროლებს, მიწების უპირობო და თავაშვებული მიყიდვა მიმდინარეობს ნებისმიერი მსურველისთვის მთელი მსოფლიოდან! რატომაა ეს პროცესი გააქტიურებული ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში?

საქართველო საარჩევნო ბატალიებშია გართული, ხელისუფლება კი – მიწების გაყიდვაში. რატომ?

გონიოს ე.წ. პოლიგონის მიწების საკითხი როგორ წყდება? ოფიციალურად გამოცხადებულია მისი რომელიღაც „შეიხისთვის“ მიყიდვა?

ბ. ივანიშვილმა ძალიან დიდი ტაქტით ისაუბრა მაჰმადიანებთან ურთიერთობაზე , რასაც კარგი დაპირებაც მოაყოლა, რომ არსებული მეჩეთის გაფართოებისთვის მზადაა 10-20-30 მილიონი ლარი გაიღოს.

ქართველთა ტოლერანტობის ისტორიულობის დასადასტურებლად სწორად მოუხმო დავით აღმაშენებლის მაგალითს, მაგრამ ძალიან უხეშად გამოთქვა ეს აზრი , თითქოს დავით აღმაშენებელი „მიდიოდა და მეჩეთში მოილოცებდა“. ეს აზრი მცდარია და პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული – მიუღებელი. მე მქონდა კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით უპირველეს ავტორიტეტებთან, რომლებმაც უარყვეს აღმაშენებლის მეჩეთში „მოლოცვის“ (გაგებული როგორც „ლოცვა“) ფაქტი. იყო აღმაშენებლის, როგორც ქვეყნის მმართველის მხრიდან მეჩეთში მისვლის ფაქტები, მუსლიმებისათვის სრულფასოვანი მოქალაქეობის განმტკიცებისა და დამტკიცების მიზნით, შემონახულია მის მიერ ისლამის ღრმა ცოდნის დამადასტურებელი შემთხვევები, მაგრამ არც დასტურდება და არც შეიძლებოდა, რომ მართლმადიდებელ მეფეს ელოცა მეჩეთში.

ავტორიტეტთა აზრით, შეიძლება ბ.ივანიშვილმა „მოილოცებდას“ ქვეშ იგულისხმა ის შემთხვევა, როდესაც აღმაშენებელი შეიძლება მეჩეთში ყოფილიყო ლოცვის დროს. მეც მინდა, რომ ეს ასე იყოს. თუმცა, საკითხი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ამოიწუროს, როდესაც ბ.ივანიშვილი თავის პოზიციას სხვა შემთხვევაში უფრო დააზუსტებს.

ბ.ივანიშვილის შემდგომი შეხვედრებისთვის მნიშვნელვანია, გავერკვეთ, თუ რას გულისხმობს ის ზოგიერთი აზრისა და ცნების შესახებ.

გონიოს მიწების საკითხი ურთულესი საკითხია. საერთოდ მიწის საკითხს უნდა მოჰყოლოდა ახსნა-განმარტება, თუ რატომ ვერ მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრობის დროს მიწის საკითხის მოწესრიგება და „მიწის კოდექსის“ მიღება? რატომაა რომ დღეს, როდესაც ხელისუფლებას მხოლოდ „ქართული ოცნება“ აკონტროლებს, მიწების უპირობო და თავაშვებული მიყიდვა მიმდინარეობს ნებისმიერი მსურველისთვის მთელი მსოფლიოდან! რატომაა ეს პროცესი გააქტიურებული ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში?

როდესაც ის ამბობს, რომ მან დაამკვიდრა მმართველობაში „თავისი სტანდარტი“, როდესაც მთავრობაში კანონს ექვემდებარებიან. ეს იწვევს გაუგებრობას. თუ არსებობს ხელისუფლების ქცევის რაიმე სტანდარტი, ის გაწერილი უნდა იყოს ნორმატიულ აქტებში.

თუ ეს ასე არაა, მაშინ ის, როგორი უკეთილშობილესი ზრახვებითაც არ უნდა იყოს მომხდარი, წარმოადგენს არაფორმალურ შეთანხმებას – არაფორმალური მმართველობის კომპონენტს.

საქართველოს მთავრობა დღეს თავს ნებას აძლევს, არ შეასრულოს კანონებით განსაზღვრული ნორმები. საკმარისია დავასახელოთ სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმების შეუსრულებლობა (ენის პალატის შექმნა და სხვ.)

ყველაზე ხშირად გამოყენებული არგუმენტი ბ.ივანიშვილის გამოსვლებში, რისთვისაც ის ითხოვს „მოსახლეობის სიმპათიების დივიდენდს“ არის ის, რომ მას არა აქვს ბიზნესი საქართველოში. რისი თქმა უნდა ბ.ივანიშვილს, როდესაც ის ამბობს: „მე არ მაქვს ბიზნესი საქართველოში“?

ჯერ ერთი, ის, რომ მას არ აქვს ბიზნესი საქართველოში, რბილად რომ ვთქვათ, არ არის ზუსტი. მასთან და მისი ოჯახის წევრებთანაა დაკავშირებული საბანკო, სამშენებლო და სხვა კომპანიათა საქმიანობა. თანაინვესტირების ფონდში, მისი გენერალური დირექტორის გიორგი ბაჩიაშვილის ინფორმაციით, ბ.ივანიშვილის კაპიტალი ერთ მილიარდამდეა.

მეორეც, ფაქტოლოგია არაა აქ მთავარი. აქ მთავარია, რა მორალურ-ზნეობრივ შინაარსს დებს ზემოთ მოტანილ გამოთქმაში ავტორი.

ჩემი აზრით, ის რომ ბ.ივანიშვილს, როგორც თვითონ თვლის, „არა აქვს ბიზნესი საქართველოში“, ეს დადებითი კი არა, ძალიან უარყოფითია!

თუ ბიზნესის საქართველოში არქონა რაიმე პოზიტიურის მატარებელია (კიდევ ვიმეორებ – მე პირიქით ვთვლი), მაშინ, საქართველოში ბიზნესის ქონა იმავე ოდენობით უარყოფითის შემცველია.

მე არ ვეთანხმები თეორიულად თეზისს, რომ ქვეყანაში ბიზნესის არ წარმოება უნდა იყოს გამორჩეულად სანაქებო. ამით ქვეყანას აკლდება ინვესტიციები, სამუშაო ადგილები და ა.შ. თუმცა, მეტი მოგების მიზნით ბიზნესის არჩევანი თავისუფალია.

ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასებაში მე სრულად ვენდობი ბ.ივანიშვილის ანალიზს. ალბათ, ასეა. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ საქართველოს ბიზნესმენები საწინააღმდეგოს არ იტყვიან, უნდა დავიჯეროთ, რომ საქართველოში ბიზნესის მწარმოებლები რაღაც ისეთები ვერ არიან, როგორიც უნდა იყვნენ, ამიტომაც არც მოსაწონები არიან.

სამწუხარო ერთია, რომ იმ უზარმაზარი შესაძლებლობების რეალიზება არ ხდება, რაც დღეს საქართველოში საერთოდ და თუნდაც ერთ პიროვნებაში – ბიძინა ივანიშვილშია დაუნჯებული.

* * *

აჭარას როდის ეტყვიან, რომ ტურიზმი მას ვერ ააყვავებს?

როდის ეტყვიან, რომ ბათუმის პერსპექტივა ინდუსტრიული განვითარებასა და საზღვაო ქალაქის უპირატესობების რეალიზაციაშია?

როდის ეტყვიან, რომ აჭარაში ჩატარდება მიწის რეფორმა, რომელიც ბევრ ადგილას არ დაწყებულა?

როდის ეტყვიან აჭარას ეკომიგრანტების პრობლემის გადაჭრის შესახებ (შუახევში დღესაც მრავალსართულიან შენობაშია შესახლებული მიწის დამუშავების მოსურნე ხალხი)

როდის გადაწყდება აჭარის მთიანეთის განტვირთვა „ჭარბი მოსახლეობისაგან“ და მათთვის ღირსეული პირობებით საქართველოს დაცლილი ადგილების ათვისება? როდის ეტყვიან აჭარას, თუ როგორ მოიშორონ ოსმალეთის იმპერიის მიერ მიყენებული ჭრილობები და როგორ აიშორონ ამ იმპერიის რესტავრაციის მოსურნეთა კულტურული, საგანმანათლებლო ზეგავლენა?

როგორ გააძლიერონ ურთიერთობები თურქეთის მმართველ დემოკრატიასთან, თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან?

როგორი იქნება აჭარის განვითარების სტრატეგია იმის გათვალისწინებით, რომ აჭარას ბოლომდე არ დაუძლევია ოსმალეთის ნამუხთლარის (აჭარის გახლეჩა და სხვ.) შედეგები და ახლა ამას დამატებული უწევს საბჭოთა სისტემის ტრანსფორმაცია?

მიხეილ ჯიბუტი,
პროფესორი

იმპორტიორთა სასარგებლოდ

მინისტრთა კაბინეტმა იმ საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი დაამტკიცა, რომლის იმპორტის დროს იმპორტიორი სრულად გათავისუფლდება დღგ-ს თანხის გადახდისაგან, თუ ეს ძირითადი საშუალებები გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციაში. საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყების წინ ისაუბრა.

„მნიშვნელოვანი ცვლილება შემოგვაქვს საგადასახო კოდექსში. ეს არის საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი, რომლის იმპორტი სრულად გათავისუფლდება დღგ-ს თანხის გადახდისგან, თუ ეს იმპორტი ხმარდება დამატებითი ღირებულების შექმნას. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, იმ საგადასახადო ცვლილებების ნაწილი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ. ეს არის გაგრძელება რეფორმისა, რომელიც ემსახურება სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას და ბიზნესის კეთების გაიოლებას,“ – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

◎ რაც კარგია, კარგია!

არის კიდევ ერთი სტადიონი!

საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის ქუჩის №6-ში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია დასრულდა. ახლადგახსნილ სტადიონზე საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და განხორციელებული პროექტის შესახებ მათი შეფასებები მოისმინა.

შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა თაობის ქართველი ფეხბურთელები: ოთარ გაბელია, გიორგი ნემსაძე, გიორგი დევდარიანი, რომლებმაც სტადიონზე მყოფ პატარებს მცირე მასტერკლასი ჩაუტარეს.

„ჩვენი წინა თაობები ზუსტად ქუჩის ფეხბურთით გაიზარდნენ. მიხარია, რომ ამდენი კორპუსის ბავშვებს ექნებათ საშუალება ითამაშონ და თუ დიდი ფეხბურთელები არ გამოვლენ, ჯანსაღი ცხოვრების წესით მაინც იცხოვრებენ. მისასალმებელია ასეთი ინფრასტრუქტურის არსებობა ჩვენს ქალაქში," - განაცხადა გიორგი ნემსაძემ.

ახალი სპორტული მოედანი ბუდაპეშტისა და ტაშკენტის ქუჩებს შორის არსებულ დასახლებას მოემსახურება, მომავალ წელს კი მოედნის მიმდებარედ გამგეობა სკვერს მოაწყობს.

— "15-ზე მეტი სტადიონის რეაბილიტაცია მოვახერხეთ წელს საბურთალოზე. მინდა ვთქვა, რომ პირდაპირპროპორციულია აღნიშნული სტადიონების გახსნა-რეაბილიტაცია საქართველოში ყველაზე საყვარელი სპორტის სახეობის, ფეხბურთის განვითარებისათვის. ვხედავთ, რომ არაკომფორტული ინფრასტრუქტურა იწვევს ჩავარდნას ამ სფეროში, შესაბამისად, აუცილებელია ამ ინფრასტრუქტურის განვითარება,"- განაცხადა საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ.

ბადრი იაშვილი

◎ ხელბურთი

ბუნდესლიგა დაუჭაშნიკეს

საქართველოს ნაკრების სამი ხელბურთელი — ქეთი კუნელაშვილი, მედეა ჩოხელი და ანა ყველაშვილი გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც ოცდღიანი სწავლება გაიარა მეორე ბუნდესლიგის გუნდ „ბენსჰაიმ-აუერბახის" სახელბურთო აკადემიაში.

ანა ყველაშვილი: — „ბენსჰაიმ-აუერბახი" ქალთა კლუბია, რომლის პირველი გუნდიც თამაშობს მეორე ბუნდესლიგაში. ქალაქი ფრანკფურტთან ახლოსაა. 2013 წელს კლუბი პირველ ბუნდესლიგაშიც გადავიდა, მაგრამ იმავე სეზონში მეორეში დაბრუნდა და ახლა მიზნად ისევ აღზევება აქვს.

აკადემიაში 5 სხვადასხვა ასაკის გოგონათა გუნდია. ჩვენ ჩვენს თანატოლებთან, 1998-99 წლებში დაბადებულებთან ვვარჯიშობდით, თუმცა, ერთი ვარჯიში, კროსი გვქონდა ქალების გუნდთანაც და ჩვენ თვითონვე გაგვიკვირდა, როდესაც სირბილის ჩვენი ტემპის აყოლა გერმანელებს გაუჭირდათ.

დანარჩენ დროს ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა თანატოლებთან და მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე ტურნირში. ჯამში ათი მატჩი ვითამაშეთ კიდეც და ძალიან კმაყოფილები ვართ.

ქეთი კუნელაშვილი: — თამაშებზე თავიდან ცოტათი გაგვიჭირდა, რადგანაც ასაკობრივი გუნდების ზოგიერთ ტურნირებზე გერმანიაში ხელის წებოს ხმარება აკრძალულია და მიუჩვევლები ვიყავით, მაგრამ ამასაც ავუღეთ ალღო. 5-6 გოლი გავიტანე ზოგიერთ თამაშში. „ბენსჰაიმი" კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენი ამავე ასაკის ნაკრები მათ თავისუფლად დაამარცხებს. ერთადერთი, ჩვენზე მაღლები არიან და ისიც სულ რამდენიმე გოგონა. ძირითადი სიახლე ჩვენთვის ის იყო, რომ ვარჯიშები განსხვავებული მეთოდიკით ტარდებოდა და ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო. ჯამში ეს 20 დღე ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იყო.

მედეა ჩოხელი: — ქეთი ძალიან მოეწონათ ძლიერი დარტყმების გამო, ანა შეაქეს პასებისთვის, მე მითხრეს, რომ დაცვაში კარგად ვთამაშობ. გერმანელებთან მომავალ ურთიერთობას რაც შეეხება, გამოგვკითხეს, რას ვაპირებთ სკოლის დამთავრების შემდეგ. ჩვენ ვუთხარით, რომ ხელბურთის თამაშის გაგრძელება გვაქვს გადაწყვეტილი და ბევრად უკეთესი იქნება, თუ პროფესიულ კარიერას უცხოეთში ავაწყობთ. ვნახოთ, გაისად რა მოხდება, ახალ სეზონში კი ორი მნიშვნელოვანი ტურნირი გვაქვს — ნოემბერში თბილისის „მამულში" უნდა ვითამაშოთ ჩელენჯ კაპზე ჩეხეთის „სოკოლ პორუბას" წინააღმდეგ, მარტში კი გვაქვს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ცხრამეტწლამდელებში. წილისყრა ოქტომბერშია და შედეგებს მოუთმენლად ველოდებით.

გოგონებმა უკვე დაიწყეს ვარჯიში საქართველოს ნაკრებთან ერთად გიორგი გვაზავას ხელმძღვანელობით, ბენსჰაიმში გამგზავრება კი მოხერხდა გერმანელი სახელბურთო ექსპერტის კლაუს ფელდმანისა და ხელბურთის ფედერაციის თანამშრომლობის შედეგად. ყველა ხარჯი ჩვენმა ფედერაციამ გაიღო და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

გოგონათა ნაკრებს წინ კიდევ ორი ასაკობრივი შეჯიბრება აქვს - უკვე ნახსენები 19-წლამდელთა ევროპირველობა და 2018 წლის ოცწლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაცია, რის შემდეგაც გუნდი უკვე ქალთა ეროვნული ნაკრებების დონეზე დაიწყებს გამოსვლას.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ლიდერებს მიუახლოვდნენ

ბაქოში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მე-5 ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრები ესპანეთს დაუპირისპირდა. ბაადურ ჯობავა პირველ დაფაზე პირენეელთა ლიდერს, 2700-იანთა კლუბის წევრ ფრანცისკო ვალეხო პონსს შეხვდა. დებიუტში მცირე უპირატესობა ესპანელის მხარეს იყო, მაგრამ 38-ე სვლიდან ბრძოლის სადავეები ბაადურმა იგდო ხელთ და 50-ე სვლაზე გაიმარჯვა. ჯობავას თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი: ლევან ფანცულაიამ თეთრი ფიგურებით დავიდ ანტონს 34-ე სვლაზე გააჩერებინა საათი, შავებით მოთამაშე თამაზ გელაშვილს რენიერ ვასკესთან საამისოდ 70 სვლა დასჭირდა., ხოლო მეოთხე დაფაზე თორნიკე სანიკიძე და ხოსე კარლოს იბარა 115-ე სვლაზე დაზავდნენ. ჩვენი გუნდი 9 ქულით მე-6 ადგილზეა.

V ტური. უკრაინა-ჩინეთი 2.5:1.5, ჰოლანდია-ბელარუსი 2.5:1.5, სერბეთი-აშშ 1:3, აზერბაიჯანი (1)-ინდოეთი 1:3, სლოვენია-ჩეხეთი 1:3, მონგოლეთი-თურქეთი 1:3, რუსეთი-ეგვიპტე 3:1, ლატვია-უნგრეთი 2.5:1.5. **ხუთი ტურის შემდეგ**: ჰოლანდია, უკრაინა, ინდოეთი-10-10, ჩეხეთი, აშშ, საქართველო-9-9 ქულა, 19 გუნდს 8-8 ქულა აქვს.

VI ტური. ინდოეთი-ჰოლანდია, აშშ-უკრაინა, ჩეხეთი-**საქართველო,** საბერძნეთი-აზერბაიჯანი (1), კანადა-ბელარუსი, გერმანია-რუსეთი, ჩინეთი-არგენტინა.

მეხუთე ტურში ჩვენმა ქალებმაც იყოჩაღეს - პერუს ნაკრებს 3.5:0.5 აჯობეს. პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძე შავი ფიგურებით მე-40 სვლაზე დაუზავდა დეიზი კორის, ხოლო ლელა ჯავახიშვილმა, ბელა ხოტენაშვილმა და ნინო ბაციაშვილმა, შესაბამისად, ან ჩუმპიტასი, ინგრიდ ფერნანდესი, ვეგა ფელიქსი დაამარცხეს და 8 ქულით საქართველოს ქალთა ნაკრებმა მე-7 საფეხურზე აინაცვლა.

V ტური. სერბეთი-უკრაინა 1:3, რუსეთი-ყაზახეთი 3.5:0.5, ისრაელი-რუმინეთი 1.5:2.5, აზერბაიჯანი (1)-გერმანია 3:1, ვიეტნამი-ინდოეთი 2:2, ჩინეთი-იტალია 3:1, აშშ-ლიტვა 2.5:1.5, თურქეთი-ჩეხეთი 3.5:0.5, ირანი-ჰოლანდია 1.5:2.5. **ხუთი ტურის შემდეგ**: უკრაინა, რუსეთი-10-10, რუმინეთი, აზერბაიჯანი (1), ჩინეთი-9-9, თერთმეტ გუნდს 8-8 ქულა აქვს.

VI ტური. უკრაინა-რუსეთი, რუმინეთი-ჩინეთი, ყაზახეთი-უნგრეთი, **საქართველო**-აზერბაიჯანი (1), პოლონეთი-ვიეტნამი, ინდოეთი-ლატვია, თურქეთი-აშშ, ჰოლანდია-სერბეთი.

შეჯიბრების მონაწილეები გუშინ ისვენებდნენ. მეექვსე ტურის შეხვედრები დღეს გაიმართება.

ლაშა დიდია

◎ უმადური პროფესია

THE TELEGRAPH-ის აზრით



ინგლისური საფეხბურთო გუნდის, „მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელი ხოსეპ გვარდიოლა 2016/2017 წლების სეზონის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელია. რეიტინგს ინგლისური გამოცემა the Telegraph-ი აქვეყნებს. საინტერესოა ისიც, რომ 10-ეულში მყოფი 6 მწვრთნელი სწორედ პრემიერლიგაში მოთამაშე გუნდებს ხელმძღვანელობს.

ხოსეპ გვარდიოლა წელიწადში 15,3 მილიონ ევროს გამოიმუშავებს, მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელი, იტალიელი კარლო ანჩელოტი — 12,6 მილიონ ევროს. სამეულში ასევე შედის პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედთან" გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით წელიწადში 12,3 მილიონ ევროს მიიღებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 10-ეულში მყოფ მწვრთნელებს შორის არცერთი არ უძღვება ეროვნულ ნაკრებს. ასევე, საფრანგეთის და იტალიის ჩემპიონატებში მოთამაშე გუნდების მწვრთნელები 10-ეულს მიღმა დარჩნენ, კარლო ანჩელოტი კი ერთადერთი მწვრთნელია ბუნდესლიგიდან, რომელიც სიაში მოხვდა.

1. ხოსეპ გვარდიოლა („მანჩესტერ სიტი") — 15,3 მილიონი ევრო,

2. კარლო ანჩელოტი („ბაიერნი") — 12,6 მილიონი ევრო,

3. ჟოზე მოურინიო („მანჩესტერ იუნაიტედი") — 12,3 მილიონი ევრო,

4. არსენ ვენგერი („არსენალი") — 8,9 მილიონი ევრო,

5. ლუის ენრიკე („ბარსელონა") — 7,2 მილიონი ევრო,

6. იურგენ კლოპი („ლივერპული") — 7 მილიონი ევრო,

7. ანტონიო კონტე („ჩელსი") — 6,6 მილიონი ევრო,

8. რონალდ კუმანი („ევერტონი") — 6 მილიონი ევრო,

9. დიეგო სიმეონე („ატლეტიკო") — 5,1 მილიონი ევრო,

10. ზინედინ ზიდანი („რეალი") — 4,6 მილიონი ევრო.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

ლანკასტერმა სამსახური იშოვა

ინგლისის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი სტიუარტ ლანკასტერი პრო 12-ის ირლანდიური კლუბის „ლენსტერის" სამწვრთნელო შტაბს შეუერთდა. 46 წლის სპეციალისტი მთავარი მწვრთნელის ლეო კალენის უფროსი თანაშემწე იქნება.

„სამწუხაროდ, კურტ მაკქილკინმა ოჯახური პრობლემების გამო დაგვტოვა და მის ნაცვლად „ლენსტერის" სამწვრთნელო შტაბი ლანკასტერით შევავსეთ, რომელიც მსოფლიო რაგბიში პატივსაცემი ადამიანია და გუნდში უდიდეს გამოცდილებას მოიტანს. მოხარულები ვართ სტიუარტის დამატებით. ჩვენ ერთად დავეხმარებით გუნდს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენაში" — თქვა კალენმა.

კლუბის გენერალურმა დირექტორმა დაამატა, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი „ლენსტერში" მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება და საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგება:

„რესურსიდან გამომდინარე, მუდამ განვიხილავთ გაძლიერების შესაძლებლობებს. მას შემდეგ, რაც მაკქილკინმა დაგვტოვა, ყურადღება გავამახვილეთ და მოხარულები ვართ, სტიუარტი ჩვენთან მუშაობაზე რომ დავითანხმეთ. ვიცი, რომ მას მოთამაშეებთან მუშაობა ენატრება. ვფიქრობ, გულშემატკივარს ეს ინფორმაცია ძალიან გაახარებს".

ლანკასტერმა ინგლისის ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ჩაიბარა, მაგრამ 2015 წლის მსოფლიო თასზე მისი გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა და დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

კობა კობახიძე

საქართველოს **თავდაცვის სამინისტრო ბოლო პერიოდში ხშირად ხვდება საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. და საქმე აქ იმაშიც კი არ არის, რომ ეს უწყება ყველაზე რთულად იქცა მმართველი კოალიციისთვის და რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე მინისტრი შეიცვალა. სხვა საინფორმაციო საბაბებიც საკმარისად ბევრია. სამხედრო სწავლებები რუსეთში, ქართველი მყვინთავების წვრთნების დროს მომხდარი ტრაგედია, სამედიცინო საევაკუაციო მანქანა, რომლის წინა ღერძის მოულოდნელმა ვარდნამ ბევრი ქვეყნის ექსპერტი შეაშფოთა და კიდევ ერთხელ დააფიქრა იმაზე, რატომ მიიპყრო ქართულმა სამხედრო წარმოებამ საუდის არაბეთის ყურადღება... ამ და სხვა საკითხებზე „რადიო თავისუფლება“ სამხედრო ექსპერტ კობა ლიკლიკაძეს ესაუბრა. „აძცენტი“ ამ ინტერვიუს თარგმანს გვთავაზობს:**

კობა ლიკლიკაძე:

ფლოტი საქართველოში არ არსებობს!..

— კობა, ითვლება, რომ რუსეთი იყენებს შესაძლებლობას, ჩაატაროს მოულოდნელი სამხედრო შემოწმებები საჭირო მიმართულებაზე საკუთარი ჯარების მობილიზების შესანიღბად. ამდენად, როცა აგვისტოს ბოლოს წვრთნები „კავკასია-2016“ დაიწყო, ბევრი ქართველი ექსპერტი შეშფოთდა და გამოთქვა მოსაზრება, რომ კრემლისგან გარკვეულ „სიურპრიზებს“ უნდა ველოდოთ. სამხედრო ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ კი ეს საქართველოში მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებსაც კი დაუკავშირა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— პოლიტიკური ექსპერტიზა ზუსტი მეცნიერება არ არის, რომ ახლა რამეს დანამდვილებით თქმა შეგვეძლოს, მაგრამ პოლიტიკური ალუზია ალბათ, არსებობს, რადგან თუ გავიხსენებთ, ზუსტად 2008 წლის აგვისტოს ომამდე დასრულდა ანალოგიური წვრთნები „კავკასია-2008“. სწავლებების ლეგენდას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან ქართული შეიარაღებული ძალების განდევნა და განადგურება წარმოადგენდა, ანუ ანალოგია ზუსტია.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, ანალოგიური წვრთნები ჩატარდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაპერიოდშიც. და ზოგადადაც, ამ დღეებში ძალზე საინტერესო სტატია დაიბეჭდა Newsweek-ში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რუსეთმა ბოლო 10 წლის განმავლობაში მეტი წვრთნა ჩატარა, ვიდრე ნატოს ყველა ქვეყანამ — ცივი ომის შემდეგ. ანუ, იმდენად აქტიურად მიმდინარეობს ყველა მიმართულებით რუსული ჯარის წვრთნა და მომზადება, რომ ეს ყველა შემთხვევაში დაემთხვევა გარკვეულ მოვლენებს რომელიმე სახელმწიფოში. ამის საფუძველზე რაღაც შორს მიმავალი პროგნოზების კეთება ალბათ, არ ღირს, რადგან როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლების ე.წ. „სტრატეგიული თმენის“ დაბალანსებული პოლიტიკის გამო ბოლო 8 წლის განმავლობაში რუსეთსა და საქართველოს შორის არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. ასე, რომ ამჯერადაც წვრთნები დასრულდება და ვფიქრობ, რომ ეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არანაირ კვალს არ დატოვებს. ამჟამად წვრთნების ახალი ფაზა იწყება და მასში ყველა ის ოლქი იქნება ჩართული, რომელთა უმრავლესობა სამხრეთ ოსეთსაც და აფხაზეთსაც მოიცავს.

— თუმცა იმის ფონზე, რომ რუსეთი ჯარის რიცხოვნობას ზრდის და ტექნიკის მოდერნიზებას ახდენს, საქართველოში ნატოსთან ინტეგრაციის აუცილებლობის შესახებ საუბრები გაძლიერდა, თუ ეს უბრალოდ წინასაარჩევნო რიტორიკაა?

— შეგვიძლია, გაუთავებლად ვიძახოთ „შაქარი, შაქარი“, მაგრამ ამის გამო პირი არ დაგვიტკბება. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რამდენჯერაც არ უნდა აღნიშნონ სხვადასხვა კომპანიებმა თავის ანგარიშებში ქართველი საზოგადოების მაღალი მზაობა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის, ეს არ არის დამოკიდებული თბილისზე, სამწუხაროდ, ეს ნატოს წამყვან წევრ სახელმწიფოებზეა დამოკიდებული, და ამაზე საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდში საუბარი... იმასაც კი ვფიქრობ, რომ ეს აქტუალურია, მაგრამ ხალხი მაინც ელის, რომ შემცირდეს უმუშევრობა, სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ხალხს სტაბილური ხელფასი ჰქონდეს და ა.შ. ანუ სოციალური სეგმენტი უფრო მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში, ვიდრე საუბარი ნატოში ინტეგრაციაზე. ქართველების 100-ვე პროცენტმა რომ იყვიროს, რომ ნატოში გვსურს, ამით არაფერი შეიცვლება.

— კითხვა მაქვს ასევე დაღუპულ სამხედრო მყვინთავებზე, რომელთა ცხედრები ვერ იპოვეს. მინისტრმა ლევან იზორიამ პრეტენზიები ჯარის ხელმძღვანელობას წაუყენა. მან თქვა, რომ საქართველოში საერთოდ არ არიან კვალიფიციური სპეციალისტები საიმისოდ, რათა საბრძოლო მყვინთავების წვრთნები ჩატარდეს და რომ პირებს, რომლებიც ამ წვრთნებს ატარებდნენ, გააჩნდათ მყვინთავების, მაგრამ არა ინსტრუქტორების სერტიფიკატები. ამით იზორიამ მისი წინამორბედის — თინა ხიდაშელის კრიტიკა დაიმსახურა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა, ვინ უნდა დავადანაშაულოთ ამაში და რამდენად სამართლიანია მსგავსი განცხადებები, საჭიროა თუ არა რეალურად საპროკურორო შემოწმება ამ ფაქტთან დაკავშირებით?

— უპირველესად, შემიძლია, მოვახდინო შემდეგი ფაქტის კონსტატაცია: ჯერ კიდევ საქართველოს სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელი ამბობდა, რომ მათ საქმე 113-ე მუხლით აღძრეს, რომელიც, რამდენადაც ვიცი, ორი ან მეტი პირის დაღუპვას, იმ ფაქტორებს ითვალისწინებს, რომლებმაც საქმე აქამდე მიიყვანა, — ესე იგი, რაღაც მოხდა. იქ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორი მყვინთავი დაიღუპა და უწყებამ მათ მშობლებს პასუხი უნდა გასცეს, რატომ მოხდა ეს: ზღვაში შტორმი იყო, თუ მაინც გარკვეული დაუდევრობა გახდა მიზეზი, როგორც ახლა ლევან იზორია აცხადებს. ამას გამოძიება დაადგენს და ვფიქრობ, რომ იგი ღია იქნება, რადგან საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია, მით უფრო, რომ, როგორც იტყვიან, ხელთათმანი უკვე გადაგდებულია და იგი გენერალური შტაბის უფროსმა აიღო, რომელმაც თქვა, რომ ამ ინსტრუქტორებს გააჩნდათ სერტიფიკატები, მაგრამ იქ რაღაც მოხდა. მანაც რაღაც ბუნდოვანი პასუხი გასცა — თითქოს რაღაცას უარყოფს, მაგრამ რაღაცას — არა. თუმცა ეს ზოგადად ვახტანგ კაპანაძის სტილია. ვფიქრობ, გამოძიება უნდა ჩატარდეს და ყველა კითხვას პასუხი გაეცეს, უპირველესად — დაღუპულთა ნათესავებისა და საზოგადოების წინაშე.

— ამ ფონზე გაძლიერდა საუბრები იმაზე, რომ ფლოტი საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველაზე სუსტი ადგილია...

— ფლოტი საერთოდ არ არსებობს. დავიწყოთ იმით, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი რეფორმების დროს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები შეიარაღებულ ძალებს ცალკე სახეობად გამოეყო — დარჩა მხოლოდ, თუ არ ვცდები, სანაპირო დაცვა. ხიდაშელის სასარგებლოდ ვიტყვი, რომ მან თავდაცვის მინისტრის კარიერის დასასრულს დაიწყო ამის აღდგენა. საერთოდაც რა არის აღსადგენი? სიმართლე გითხრათ, სახელწოდება „საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები“ რეალობას არ ასახავდა. საქართველოსთვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოლა დიდი ფუფუნებაა და ვფიქრობ, ასეთი ბიუჯეტით შეიარაღებული ძალები მის შენახვას ვეღარ შეძლებენ. ან თუ ეს იქნება გარკვეული სეგმენტი, ამას მხოლოდ რიტუალური სახე ექნება. ასე, რომ ეს ღრმად პოლიტიკური საკითხია და იგი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს ისეთ შეცდომებზე, როგორიც გონიოში მოხდა.

— ლევან იზორია 1 აგვისტოს დაინიშნა. მოასწრო მან რაიმე ისეთის გაკეთება, რაც მისი ერთთვიანი მუშაობის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა?

— ზოგადად, ნორმალური ადამიანები პოლიტიკოსის დანიშნვის შემდეგ მინიმუმ, სამ თვეში აფასებენ მის „თაფლობის თვეს“. თავდაცვის მინისტრის შემთხვევაშიც შესაძლებელია ამის დაშვება, მით უფრო, რომ მისი დანიშნვა ტრაგიკულ სიტუაციას დაემთხვა. იგი თითქმის ორი კვირა იმყოფებოდა იქ, მონაწილეობდა სამძებრო-სამაშველო ოპერაციაში. ზოგადად, ლევან იზორია ძალიან წესიერი ადამიანია, კარგი მენეჯერი, კარგი იურისტი. გახდება თუ არა იგი თავდაცვის კარგი მინისტრი? ამას დრო გვიჩვენებს, რადგან საქართველოს ისტორიაში ყოფილან მინისტრები, რომლებიც ძალზე მაღალი ავტორიტეტით იწყებდნენ, ხოლო კარიერის დასასრულს მათი ავტორიტეტი პლინტუსის დონეზე იყო. მათ გვარ-სახელებს არ დავაკონკრეტებ, თუმცა ბევრი შეიძლება, მიხვდეს. მოკლედ, ვნახოთ.

— ქართულმა ჯავშანმანქანამ Didgori, რომელმაც იემენში შეტევის დროს წინა ღერძი დაკარგა, მაშინვე გამოიწვია კამათი ქართული თავდაცვის მრეწველობის ხარისხის თაობაზე. თქვენი აზრით, რამდენად სანდოა იგი?

— საქმე იმაშია, რომ გრაფიკული ინფორმაცია სოციალურ ქსელებში უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ვიდეოები, რომელიც თავად ამ ექსტრემისტებმა გადაიღეს, რომელთა ალყაშიც საუდის არაბეთის სახმედროების ჯგუფი აღმოჩნდა. აქ უკვე მკაფიოდ ჩანს — არ არის საჭირო ღრმად თხრა და დიდი ექსპერტობა, რომ დაინახო: უპირველესად, მექანიკოსი-მძღოლი ძალიან არასწორად ეწევა მანქანის ექსპლუატაციას და რომ ეს რეალურად სამხედრო მონაწილეობა იყო, და მანქანა არა დაიშალა, არამედ იყო გარე ზეგავლენა და მექანიკოსი-მძღოლის შეცდომა. ნებისმიერ შემთხვევაში, დავინტერესდი, დავრეკე Delta-ში. არანაირი ოფიციალური საჩივარი საუდის არაბეთისგან არ შესულა და კონტრაქტი გრძელდება. და ის, რომ ქართულმა მანქანამ ასეთი „საბრძოლო ნათლობა“ გაიარა, მაინც მის სასარგებლოდ მეტყველებს, რადგან სახეზეა პარადოქსული სიტუაცია: ეს საბრძოლო მანქანები ქართულ შეიარაღებაში ჯერ არ არის და ჩვენ არ ვიცით მათი რეალური საბრძოლო პოტენციალი. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ასე რომ, ახლა ვხედავთ, რა მოხდა იქ. ვიდეოზე ჩანს, რომ ეს მანქანა არც ისე ცუდია — არ დაიშალა, უბრალოდ იყო რეალური საბრძოლო ეპიზოდი. როგორც ჩანს, გამორჩეული ქვეყნების ნებისმიერი საბრძოლო მანქანა იგივე ზიანს მიიღებდა, როგორიც ქართულს მიადგა.

◎ ესეც შენი „ჰიპსტერი“!..

პოპულისტი სააკაშვილი თავის ჩრდილოვან სახეს აჩვენებს

აგვისტოს **მიწურულს ოდესის ოლქის იზმაილის რაიონში, სოფელ ლოშინოვკაში (რუმინეთის საზღვართან ახლოს), მოულოდნელად ეთნიკურმა ძალადობამ იფეთქა, რომელიც ადგილობრივი ბოშების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს შემაძრწუნებელი ფაქტი თავისი სისასტიკით დარბევას არ ჩამოუვარდებოდა“,** — ნათქვამია ამერიკულ ჟურნალ „ფორინ პოლისში“ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი — ვლადისლავ დავიდზონი, მწერალი და ჟურნალისტი).

„ლოშინოვკაში ძირითადად ეთნიკური რუსები და ბულგარელები ცხოვრობენ, აქაა ბოშათა მცირერიცხოვანი თემიც. ძალადობის ბიძგის მიმცემი გახდა სოფლის ბოლოს ნაპოვნი დაახლოებით ცხრა წლის გოგონას გვამი, რომელიც, პოლიციელთა თქმით, ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი მოკლეს. მეორე დღეს სამართალდამცველებმა ლოშინოვკელი 21 წლის ბოშა ბიჭი დაიჭირეს და მას ბრალად გოგონას მკვლელობა წაუყენეს. ლოშინოვკის განრისხებულმა მოსახლეობამ, ძირითადად ახალგაზრდებმა ბოშების დარბევა დაიწყეს: ისინი სახლებს ქვებს ესროდნენ, ჩალეწეს სარკმლები, ერთი სახლიც გადაწვეს, ბოშებს ქონება გაუნადგურეს... საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, რამდენადაც ბოშებმა გაქცევით თავს უშველეს“, — წერს ავტორი და აღნიშნავს, რომ ძალადობის დაფიქსირებისთანავე ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ლოშინოვკაში საოლქო პოლიციისა და გასამხედროებული სტრუქტურების გაძლიერებული ქვედანაყოფები შეიყვანა.

„მაგრამ უკრაინელი და უცხოელი დამკვირვებლები ყველაზე მეტად გააკვირვა და შეაცბუნა გუბერნატორის განცხადებამ, რომელიც მან მომხდარის თაობაზე გააკეთა. მიხეილ სააკაშვილის ამგვარი რეაქცია სხვა არაფერია, თუ არა „წამქეზებლურ-შემაგულიანებელი“.

„მე მთლიანად ვიზიარებ ლოშინოვკელთა გულისწყრომას. სოფელში მართლაც არიან ასოცირებული ელემენტები,

◎ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ-ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ შედგენილ-გამოცემული ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელი ნაშრომი — „სენაკის მატიანე“, რომელიც წინ მიდევს, ახლახან გამოვიდა და მართლაც დიდებული საჩუქარია არა მარტო სენაკელთათვის, არამედ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ქართველისთვისაც, ვისაც მისთვის ხელის შევლების და თუნდაც თვალის გადავლების საშუალება მიეცემა.

ენციკლოპედიური ხასიათის-მეთქი, იმად აღვნიშნე, რომ თუმცა ავტორებს, როგორც წინასიტყვაობაშიც არის აღნიშნული, უცდიათ დარგების მიხედვით და ანბანური თანამიმდევრობით დაელაგებინათ მასალა, რითაც დაიცავდნენ ენციკლოპედიის არსსა და მნიშვნელობას, მიზეზთა გამო ეს ვერ მოუხერხებიათ და გამოსვლიათ მატიანე, რაც საისტორიო ჩანაწერთა კრებულს ნიშნავს.



თუმცა წიგნს ამით არაფერი დაჰკლებია. მასში გამოქვეყნებული ყველა მასალა, საისტორიო-ეთნოგრაფიული ხასიათისა იქნება იგი თუ საცნობარო-ბიოგრაფიულისა, ლამის ერთნაირი ინტერესით იკითხება. ეს კი უმთავრესად მისი ავტორების, განსაკუთრებით ცნობილი მწერლის, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატის, მწერალთა კავშირის წევრის, „ღირსების“ ორდენოსნის ბორის დავითაიას დამსახურებაა.

დიახ, სწორედაც, უმთავრესად, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არა ღირსეული სენაკელი ბადრი ბარკალაია, ვინც მისი დახმარება-თანადგომის სურვილი გამოთქვა და ნათქვამი პრაქტიკული საქმეებითაც დაამტკიცა, ეს წიგნი, რომლის შექმნის იდეა ამ რამდენიმე წლის წინათაც იყო, მაგრამ რაკი რაიონის იმდროინდელი ხელმძღვანელობა ამ საშვილიშვილო საქმის მხარდასაჭერად მზად არ აღმოჩნდა, ვერც ამჟამად იხილავდა დღის სინათლეს.

დიდი მადლობა ამგვარი დასაფასებელი იდეით გაერთიანებულ ამ ორ ადამიანს ასეთი შესანიშნავი ნაშრომისთვის!

...და თუმცა საქართველოს ისტორიას მკვლევარები არ აკლია, წარსულის ცალკეული მონაკვეთების ისეთი მხატვრული თვალით დანახული და აღწერილი ფრაგმენტები, როგორაც არის „მატიანეში“ ასე კომპაქტურად დანახულ-გადმოცემული საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი მხარის — კოლხეთის, ეგრისისა და სამეგრელოს მოკლე ისტორია, კოლხეთის, ეგრის-ლაზიკის, ოდიშ-სამეგრელოს იმდროინდელი ყოფისთვის დამახასიათებელი ნიუანსები, დარწმუნებული ვარ, დიდი ინტერესით წასაკითხი იქნება არა მარტო საქართველოს ნებისმიერ სხვა კუთხეში მცხოვრები ქართველებისთვის, არამედ თავად სენაკელთათვისაც. განსაკუთრებით კი, მაინც, ცხადია, სენაკელი მომავალი თაობებისთვის, რათა ღირსეულ წინაპართა ნაქმნარ-ნაამაგარით უკეთ აღიქვან, ვინ ვიყავით, რანი ვართ და საით მივდივართ...

„მატიანეში“ საინტერესოდ არის აღწერილი სენაკში შობილ-გაზრდილი, მაგრამ სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისთვის ლამის საქართველოს ყველა კუთხის მიერ საკუთარ შვილად ნაგულისხმევი ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების, განათლების, სპორტის სხვადასხვა დარგის, თეატრალების, მწერლების და ა. შ. ბიოგრაფიული მონაცემები, დღემდე ძალიან ბევრისთვის უცნობი მათი საინტერესო ცხოვრების ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ სამი მათგანის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს — ვალერიან გუნიასი, აკაკი ხორავასი და შალვა დადიანისა...

ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო, ნათქვამია. ჩემი მხრივ, დავსძენდი — ნებისმიერ წიგნზე ასი რეცენზიის წაკითხვას (თუმცა ამ ნაწერს არანაირი რეცენზიის პრეტენზია არა აქვს, იგი მკითხველისთვის კარგი ნაშრომის მხოლოდ ერთგვარი წარდგენაა) — ამ წიგნის ერთხელ წაკითხვა.

ამიტომ დასასრულ მკითხველისთვის ერთი მოკრძალებული თხოვნის მიცემის უფლებასღა დავრთავ საკუთარ თავს:

წაიკითხეთ ეს კარგი წიგნი, არაფერს წააგებთ, მოგებით კი ბევრს მოიგებთ და ბევრ ახალ რამესაც შეიტყობთ. ეს იმის მიუხედავად, რომ როგორც „მატიანის“ ავტორები აღნიშნავენ, წიგნი არ არის უნაკლო, მთელი სისრულით ვერ წარმოადგინეს ყველა დარგი და მოქალაქეთა ბიოგრაფიები, მაგრამ დარწმუნებული ვართ, მომავალში შეიქმნება უფრო სრულყოფილი და მასშტაბური წიგნი სენაკის წარსულზე, როგორც ძღვენი მშობლიური ქალაქისადმიო.

წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაისტამბა გამომცემლობა „ივერიონში“ (დირექტორი — ზაურ ნაჭყებია).

ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝᲡ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ სკოლაში, სასწავლო პროცესის დაწყება, შესაძლოა, 2 კვირით გადაიწიოს. ამის მიზეზი მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებია. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება და წელს გაცილებით მეტი პირველკლასელია.

„ახალი სასწავლო წელი იწყება 15 სექტემბერს. პირველი ძალიან სასიხარულო სიახლე არის ის, რომ გაცილებით მეტი პირველკლასელი გვყავს, ვიდრე გვყავდა, ანუ ვმრავლდებით და უფრო მეტი ბავშვი შედის სკოლაში, რაც ძალიან სასიხარულოა. მზადყოფნას რაც შეეხება, სახელმძღვანელოების, კომპიუტერების, სკოლების მხრივ მზადყოფა არაჩვეულებრივი გვაქვს. ცალკეული შემთხვევები არის, სადაც ძალიან დაჩქარებული მეთოდით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და ვცდილობთ, რომ ყველაფერი დროულად დავამთავროთ. მათ შორის სასიხარულო სიახლე არის, რომ ჩვენი ამერიკელი მეგობრების — ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული ჯამში 100-მდე სკოლის პირველი 13 სკოლა უკვე ამ სასწავლო წელს გაიხსნება. ესენი არან არაჩვეულებრივი სკოლები. ძალიან ბევრ ბავშვს ექნება საშუალება აბსოლუტურად არაჩვეულებრივ გარემოში განაგრძოს ან დაიწყოს სწავლა...

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

მასშტაბური სამუშაოებია. უმეტეს შემთხვევებში ყველაფერი კარგად არის. გვაქვს ცალკეული შემთხვევები, მაგალითად, ლამბალო, სადაც მოგვიწევს გამოვიყენოთ სასწავლო პროცესის ორი კვირით გადაწევის კანონით გათვალისწინებული უფლება. არის შემთხვევები, სადაც შეიძლება ზუსტად 15-ში ვერ მოვასწროთ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და ამ შემთხვევაში სწავლამ შეიძლება რამდენიმე კვირით გადაიწიოს“, — განაცხადა ჯეჯელავამ და დასძინა, რომ საუბარია 3-4 სკოლაზე.

* * *

ახალი სასწავლო წლისათვის ემზადებიან თბილისის პირველი კლასიკურ გიმნაზიაშიც. სკოლის წინ მდებარე სკვერი მოპირკეთდა ქვის ფილებით. წვიმიან ამინდში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ატალახებული სკვერი პრობლემას აღარ შეუქმნის. მოეწყო ახალი ლამპიონები, სადრენაჟე სისტემა, გამწვანება. სკვერში ახალი სკამები დამონტაჟდა, მოწესრიგდა აუზი. საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სასწავლო დაწესებულება განახლებული სახით შეხვდება ახალ სასწავლო წელს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2016 წლის 28 ოქტომბერს, 13 საათზე, ქ. თელავის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თელავი ერეკლე II გამზ. №16) გაიმართება შპს „ეკომედის“ სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ კურდღელაურის მიმდებარე ტერიტორიაზე სამედიცინო ნარჩენების (ინსინერატორის) მოწყობა ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თელავის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ქ. თელავი ერეკლე II გამზ. №16.
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- კახაბერ ხუბუა . ტელ: 599 158 999; E-mail: Ecomedltd@yahoo.com ;
- ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 597 72 88 71; E-mail: nikasofadze@hotmail.com;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

ᲨᲞᲡ „ᲔᲙᲝᲛᲔᲓᲘᲡ“ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

აქ რეალურად არსებობს ავაზაკების ბუდე, გარყვნილთა ბუნაგი, აქ ხდება ნარკოტიკებით ვაჭრობა... ჩვენ ამ საკითხით ფუნდამენტურად უფრო ადრეც უნდა ვყოფილიყავით დაკავებული, ახლა კი აუცილებლად გავაკეთებთ“, — ციტირებს ავტორი ოდესის ოლქის გუბერნატორის სიტყვებს.

„საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დანიშვნამ ოდესის ოლქის გუბერნატორად ადგილობრივ მოსახლეობას დიდი იმედები გაუჩინა. ხალხი ფიქრობდა, რომ იგი ოდესაშიც გაიმეორებდა იმ წარმატებულ დემოკრატიულ რეფორმებს, რაც მან სამშობლოში განახორციელა. მიხეილ სააკაშვილს ბევრი თანამედროვე, პროგრესულ ადამიანად მიიჩნევს, მას ე.წ.„ჰიპსტერადაც“ (ანუ ბოჰემურ, თავისუფალ პიროვნებადაც) კი თვლიან. სანამ იგი უკრაინაში გამოჩნდებოდა, გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ მის შესახებ საკმაოდ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა და ბრუკლინში მოსიარულე, სამშობლოდან განდევნილი ქართველი „ჰიპსტერის“ ამერიკული სახე აჩვენა. მას ერთხმად უწოდებენ კორუფციასთან პრინციპულად მებრძოლ ადამიანს. მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის ოდესის ოლქში გუბერნატორად დანიშვნისას მოსახლეობას კორუფციის აღმოფხვრა აღუთქვა, მაგრამ იგი სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგობას წააწყდა. შემდეგ მან თავისი ყურადღება და ენერგია ოდესა-რენის მაგისტრალისა და ოდესის აეროპორტრის მეორე რიგის მშენებლობაზე გადაიტანა. „მაგრამ ისეთი წამქეზებლური და შემაგულიანებელი რეაქცია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ლოშინოვკის ინციდენტის მიმართ გამოავლინა, დასავლელ რეფორმატორს ნამდვილად არ ეკადრება“, — თვლის ავტორი.

„კომენტარები, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებმა გააკეთეს, იმედის მომცემი არ არის. მაგალითად, ოდესის შინაგან საქმეთა სამმართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ ხვისტანმა, მართალია, განაცხადა, რომ ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა აუცილებელია, თუმცა იქვე დაამატა: **„ოდესის ოლქის ყოველმა მცხოვრებმა კარგად იცის, რომ ბოშები ნარკოტიკებით ვაჭრობენ“.** ზურაბ ხვისტანის აზრით, ბოშებისთვის სოფლის დატოვება არავის დაუძალებია. უბრალოდ, ნებაყოფლობითი წასვლა იმ რეალობის აღიარებაა, რომ სოფლელებთან ერთად მათი თანაცხოვრება უკვე შეუძლებელია“.

თავის მხრივ, ბოშათა არასამთავრობო და უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა საჩივრით მიმართეს მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეს — უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრს არსენ ავაქოვს: **„ჩვენ ვგმობთ ძალადობას. გამოდის, რომ უკრაინის სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების — ბოშების უფლებების დაცვა არ შეუძლია. ეს ეწინააღმდეგება ქვეყნის ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ კანონის უზენაესობის პრინციპს“.**

ᲕᲚᲐᲓᲘᲡᲚᲐᲕ ᲓᲐᲕᲘᲓᲖᲝᲜᲘ,
„Foreign Police“ (ᲐᲨᲨ)

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მაზახირ მამედოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაზახირ მამედოვი (პ/ნ 28501123291), მარნეული, ს. საბირქენდი;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, სოფელი საბირქენდი (საკადასტრო კოდი: 83.03.03.974).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38069.37 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 20 სექტემბერი, 15:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

5. **მოვალე:** მაზახირ მამედოვი (პ/ნ 28501123291), მარნეული, ს. საბირქენდი;
რუხინ გურბანოვი (პ/ნ 28301127847), მარნეული, ს. შაბირქენდი;
სახილ მამედოვი (პ/ნ 28001111019), მარნეული, ს. საბირქენდი

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 სექტემბრის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გელა თუმანიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გელა თუმანიშვილი (პ/ნ 01001039870), მის: თბილისი, გლდანის ხევი, კორპუსი 8, ბინა №43;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, გლდანის ხევი, კორპუსი 8, მე-8 სართული ბინა №43, 95.23კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.11.05.002.013.01.043).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 42814.71 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 20 სექტემბერი, 15:15 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

5. **მოვალე:** ლევან თუმანიშვილი (პ/ნ 01002023092), თბილისი, გლდანის ხევი, კორპ. 8, ბინა 43;
გელა თუმანიშვილი (პ/ნ 01001039870), თბილისი, გლდანის ხევი, კორპ. 8, ბინა 43.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 სექტემბრის 15:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლაშა ცეცხლაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლაშა ცეცხლაძე (პ/ნ 01031003130), თბილისი, სამტრედიის ქ. №4ა, ბინა №77.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, სამტრედიის ქ. №4ა, ბინა №77 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.019.003.01.077).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38305.32 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 8 სექტემბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 19 სექტემბერი, 12:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP34063316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 340633

6. **მოვალე:** თამაზ ცეცხლაძე (პ/ნ 01007003060), თბილისი, სამტრედიის ქ. №4ა, ბინა №77.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (ganacxadis №71271HZP34063316; ლოტის ნომერი: 340633).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 16 სექტემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სვეტლანა კუჭავა საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სვეტლანა კუჭავა (პ/ნ 42001013818), ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №18/47.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №18/47 (საკადასტრო კოდი: 04.01.10.722.01.047).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7261.29 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 8 სექტემბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 19 სექტემბერი, 12:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP34066216;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 340662

6. **მოვალე:** ელდარ სიჭინავა (პ/ნ 42001023901), ფოთი, ვაჟა-ფშაველას №19;
სვეტლანა კუჭავა (პ/ნ 42001013818), ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №18/47.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (ganacxadis №71271HZP34066216; ლოტის ნომერი: 340662).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 16 სექტემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

„რთველი 2016“

მევენახე ისევ დილემის წინაშე დგება?..

კომპანიების ნაწილი გლეხებისგან ყურძნის ჩაბარებას არ აპირებს

კახეთში რთველი რამდენიმე დღეა დაიწყო. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამბობენ, მიმდინარე წელს, „რთველი 2016-ის“ ფარგლებში კახეთში 200 000 ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან, საიდანაც, წინასწარი პროგნოზით 150 000 ტონამდე ყურძენს სამრეწველოდ გადაამუშავებენ.

რა მოლოდინები აქვთ ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, როგორ ემზადებიან რთველისთვის, რა ოდენობის ყურძნის მიღებას გეგმავენ მოსახლეობისგან? ამის გარკვევად „კომერსანტი“ კომპანიებს დაუკავშირდა.

„თელავის ღვინის მარანის“ დამფუძნებელი **ზურაბ რამაზაშვილი** ამბობს, რომ კომპანიამ საკუთარი ვენახებიდან ყურძნის მიღება 24 აგვისტოდან დაიწყო. რაც შეეხება მოსახლეობისგან მიღებას, ეს პროცესი არ დაწყებულა, შესაბამისად, უცნობია, წელს ყურძენს რა ფასად ჩაიბარებს. რამაზაშვილი ამბობს, რომ მიმდინარე სეზონისთვის კომპანია ჯამში დაახლოებით 4 000 -5000 ტონა ყურძენს გადაამუშავებს, აქედან 1500 ტონას მოსახლეობისგან ჩაიბარებს.

კომპანია ყურძნის მოსახლეობისგან შეძენას სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში დაიწყებს. რამაზაშვილი ამბობს, რომ მისი კომპანია ღვინის ექსპორტს 28 ქვეყანაში ახორციელებს.

ღვინის მწარმოებელი კომპანია Schuchmann Wines-ის გენერალური დირექტორი **ნუცა აბრამიშვილი** განმარტავს, რომ წელს კომპანია ყურძნის 90%-ს საკუთარი ვენახებიდან მიიღებს, დანარჩენ 10 პროცენტს კი მოსახლეობისგან ჩაიბარებს და ყურძნის ჩაბარება უკვე დაიწყო.

აბრამიშვილი არ აკონკრეტებს, რა ფასად იბარებს 1 კილოგრამ ყურძენს ფერმერებისგან, თუმცა, ამბობს, რომ გადახდილი თანხა გლეხებისთვის მისაღებია. „ნაწილს სახელმწიფო იხდის სუბსიდიის სახით, ნაწილს გლეხებს ჩვენ ვუხდით“ — აცხადებს აბრამიშვილი.

ღვინის მწარმოებელი კომპანია „ბადაგონის“ კომპანიის დირექტორი **გია შენგელია** განმარტავს,რომ მიმდინარე წელს კომპანიამ, შესაძლოა, ყურძენი არ ჩაიბაროს. მისი თქმით, ამ დროისთვის სამომავლო გეგმაზე მიდის მსჯელობა.

როგორც, შენგელია განმარტავს, ამ დროისთვის „ბადაგონს“ გასული წლის მარაგები აქვს, ასევე გააჩნია საკუთარი ვენახები და ამ სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა, მოსახლეობისგან ყურძნის ჩაბარების საჭიროება აღარ დადგეს. **„ჩავიბარებთ თუ არა წელს მოსახლეობისგან ყურძენს, ამას რამდენიმე დღეში გადავწყვეტთ“** — აცხადებს შენგელია.

რთველი 2016-ის ფარგლებში ფიზიკური პირები სახელმწიფო სუბსიდიას შემდეგი ოდენობით მიიღებენ: კახეთის რეგიონში 1 კგ. რქაწითელისათვის — 0,45 ლარს, 1 კგ. კახური მწვანისათვის — 0,45 ლარს, 1 კგ. საფერავისათვის — 0,20 ლარს; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის რეგიონში მუჯურეთული/ალექსანდროულისთვის — 2 ლარს მიიღებენ.

რთველის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი სამანიშვილი** აცხადებს, რომ რთველის პროცესში ჩაერთვება 100-მდე ღვინის კომპანია.

შეგახსენებთ, 2015 წელს რთველის სუბსიდირების პროგრამა სახელმწიფოს როგორც მინიმუმ 30 მილიონი ლარი დაუჯდა. გადამუშავდა 143 ათასი ტონა ყურძენი, მევენახეების შემოსავალმა 102 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა. კახეთში გადამუშავდა 141,6 ათასი ტონა ყურძენი, მევენახეების შემოსავალმა 100 მილიონ ლარს მიაღწია. რაჭა-ლეჩხუმში გადამუშავდა 1500 ტონა ყურძენი, ხოლო მევენახეების შემოსავალმა 6,6 მილიონი ლარი შეადგინა. ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართული იყო 130-ზე მეტი ღვინის კომპანია, მათ შორის 20 სახელმწიფოს მიერ იყო დაქირავებული.

სოფო ქსოვრელი

ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ!..

შენი კარგი ჩემიაო?!

სომხურ და რუსულ ცხვარს ქართულად ვეღარ გაასაღებენ

საქმეში პრემიერის ჩართვის შემდეგ, ჩინოვნიკებმა როგორც იქნა მეცხვარეებთან შეხვედრას თავი მოაბეს. რამდენად უშველის ეკონომიკის სამინისტროში გამართული მსჯელობა დარგში არსებულ რთულ ვითარებას, ეს რთული სათქმელია.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარემ და სპეციალისტებმა მეცხვარეობის დარგში არსებული პრობლემების მოგვარების საკითხები განიხილეს. შეხვედრას ასევე სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, ეკონომიკის სამინისტროების სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მეცხვარეების ინფორმაციით, დარგის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა რეალიზაციაა. მეცხვარეებს დახმარება მათი პროდუქციის პოპულარიზებაშიც სჭირდებათ.

„დღემდე ცხვრის წლევანდელი ნამატის 10%-იც არ არის რეალიზებული, იმ დროს როდესაც წინა წლებში ექსპორტზე 100 000 სული ცხვარი იყო უკვე გაყვანილი“, — აღნიშნა მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარემ **ბექა გონაშვილმა.**

ქართული ცხვრის რეალიზაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი დაბალფასიანი რუსული და სომხური ცხვრის რეექსპორტი და ქართული ცხვრის მაღალი საექსპორტო ფასია. ფასის ასეთი ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში რიგ ანალიზებზე არარეალური ფასი სახელდება.

„უცხოეთის ქვეყნების უმეტესობა სომხეთს არაკეთილსაიმედოდ მიიჩნევს და ისინი სარგებლობენ საქართველოს, როგორც კეთილსაიმედო ექსპორტიორის სახელით. იქ ცხვრის მოვლა-მოშენება გაცილებით იაფი ჯდება, მაგალითად, არ არსებობს მიწის გადასახადი, რაც ჩვენთან არის დაწესებული“, — აღნიშნავს გონაშვილი და ამბობს, რომ მიიღეს დაპირება, რომ სომხური და რუსული ცხვრის „ქართულის“ სახელით ექსპორტზე გაყვანა აღარ მოხდება.

„ჯიბისის“ ინფორმაციით, ქართველ მეცხვარეთა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა გადასარეკი ტრასების დემარკაცია.

ბექა დანელია

სანთელი

გურამი (ჯუმბერ), ზაირა, დავითი, მზია, თორნიკე მამალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი და უძვირფასესი ადამიანის

ნუგზარ (ხუტა) მამალაძის

გარდაცვალებას.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ზურაბ გოგოხია, მამუკა ადამია მწუხარებით იუწყებიან

ნუგზარ (ხუტა) მამალაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი კოლეგის, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის, 1995-1999 წ. წ. მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრის

ნუგზარ (ხუტა) მამალაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა ახლო მეგობრისა და საუკეთესო პიროვნების

ხუტა მამალაძის

გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ქ.თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა სამძიმარს უცხადებს ქ. ფოთის მაჟორიტარ დეპუტატს, ქ-ნ ეკა ბესელიას მამის

გულმერგო ბესელიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს საქართველოს პარლამენტის წევრს, ქალბატონ ეკა ბესელიას ძვირფასი მამის

გულმერგო ბესელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი იუწყებიან რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ორი წითელი ვარსკვლავისა და ღირსების ორდენების კავალერი, ეროვნული გვარდიის დამსახურებული მუშაკი

მამანტი ერასტოს-ძე ჯოლია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ღირსეული წარმომადგენელი, ჭეშმარიტი პატრიოტი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, მეორე მსოფლიო ომის აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარე, უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფო უშიშროების დამსახურებული მუშაკი, პოლკოვნიკი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი

მამანტი ჯოლია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩაისა და თხილის გადამამუშავებელი საწარმოები

სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, კიდევ ორი ახალი საწარმო იქმნება, — სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიებისთვის გადაცემის საკითხი მთავრობამ უკვე დაამტკიცა.

პრემიერის შეფასებით, მისასალმებელია, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სულ უფრო მეტი ახალი საწარმო იხსნება.

უახლესი ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისი ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა იგეგმება მარტვილში, რისთვისაც კომპანიას სახელმწიფო მიწის ნაკვეთს საკუთრებაში გადასცემს.

„ჩაის წარმოების აღორძინებისთვის მთავრობა ძალიან ბევრს აკეთებს და ვფიქრობთ, ძალიან კარგი იქნება, ხელი შეეწყოს ასევე გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობას, რათა მოხდეს დამატებით ღირებულების შექმნა საქართველოში და დასაქმდნენ ადამიანები“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თხილის გადამამუშავებელი საწარმო შეიქმნება ქალაქ ლანჩხუთში, რისთვისაც კომპანიას სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთი გადაეცემა.

კვლავ ამოძახილი ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნიდან!!!

რელიგიების, კონტინენტთა გზაჯვარედინზე,
მშვიდობის, ძმობის ბაირაღად ვართ განფენილნი.
ამავდროულად, ყველა ჯურის ჯალალედინზე
ხმალშემართული საბრძოლველად ვართ ალესილნი.

მარაბდელებო, დიდგორლებო, არაგველებო!
ალგეთის ლეკვნო, ლომთაგორას ლომთა ბოკვრებო.
შალვა, ელიზბარ!.. მათი მრწამსით განახელებნო,
აქეთ და იქით მოსისინე მტრებო, „მოყვრებო“.
სამშობლოს არვის არ ვართმევთ
ჩვენც ნურვინ ნუ გვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!

ირაკლი რეხვიაშვილი
ასურეთი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ ინტერნეტიდან

ისლანდიელმა ლამაზმანებმა ფეხბურთელები დაამცირეს

აწდასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ისლანდიის საფეხბურთო ნაკრების წარმატებამ დედამიწის ოთხივ კუთხით გააოცა ქომაგები და ამ პატარა, მაგრამ მრავლისშემძლე ქვეყნის ფეხბურთელების მიმართ ყველა დიდი პატივისცემითა და სიმპათიით განიმსჭვალა, რაც ბუნებრივია და ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო.

საკუთარივ ისლანდიაში თანამემამულე მათ ფეხბურთელებს დიდი ოვაციებით დახვდნენ და ახლა ყველა იმის ცდაშია, რამენაირად პატივი სცენ ამ ბიჭებს. სხვებს არც ისლანდიელი მოდელი ლამაზმანები ჩამორჩნენ, რომლებმაც სპეციალური ჩვენება მოაწყვეს და ღონისძიებაში აღებული თანხები მთლიანად ისლანდიის ბავშვთა ფეხბურთს გადაურიცხეს.

ამ ჩვენებაში მონაწილეობდა თითქმის ყველა ცნობილი ისლანდიელი მოდელი, რომლებიც მთელს ევროპაში არიან გაფანტულნი. საამო სანახავია, როდესაც ამდენ ლამაზმანს ფეხბურთი აერთიანებს. არა, რაც მართალია, მართალია – ამ შემთხვევაში ფეხბურთი მართლაც გვაერთიანებს!

როსტომ რაჭველიშვილი

არ ჟურნავს, მაგრამ შვებას ჰგვრის



ვაშლის წვენი თავის ტვინის მუშაობას და ალჰაიმერის ავადმყოფობით შეპყრობილთა მდგომარეობას აუმჯობესებს, აცხადებენ გერმანელი მეცნიერები.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ვაშლის წვენს შეუძლია განსაკუთრებული ცილის გამომუშავების დაბლოკვა, რომელიც ამ საშინელი დაავადებით სნეულთა თავის ტვინშია.

მკვლევარები აცხადებენ, რომ გამოსაცდელებში ყველაზე დადებითი ეფექტი ერთი თვის მანძილზე დღეში ორი ჭიქა ვაშლის წვენის მიღებისას აღინიშნებოდა: პაციენტების საერთო მდგომარეობა უმჯობესდებოდა, კერძოდ, მოქცევა გაცილებით ადეკვატური იყო, ხოლო განგაშის შეგრძნებისა და გონებასისუსტის გამოვლინების დონე მცირდებოდა.

ამასთან, მედიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ალცჰაიმერის ავადმყობით შეპყრობლთა ფსიქიკურ და ყოფაქცევით ნიშნებზე ვაშლის წვენის გავლენა მაინცდამაინც დიდი არ არის.

ფანტაზიის უნარი და... სიმსუქნე

თუკი კაცს კერძის სუნის წარმოდგენა შეუძლია, მაშასადამე მას წონაში მომატების ძალიან დიდი საფრთხე ემუქრება, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.

ექსპერიმენტების შედეგებით ირკვევა, რომ მეხსიერებით საკვების სუნის მკაფიოდ აღდგენის უნარი პირდაპირ კავშირშია სხეულის მასის ჭარბ ინდექსთან.

მეცნიერები საფუძვლად ორ გამოკვლევას იღებენ. პირველ შემთხვევაში ისინი გამოსაკვლევებს მკითხვარების შევსებას სთხოვდნენ, რომლითაც წარმოსახვის უნარს აფასებდნენ. შემდეგ კი მოხალისეებს ახლადგამომცხვარი პურის, ნამცხვრის, შემწვარი ხორცისა და ა.შ. გემო და სუნი უნდა „გაეხსენებინათ“, წარმოსახვით მიღებულ სახეს შკალის მიხედვით ამოწმებდნენ, ამასთან ექსპერიმენტში მონაწილეთა სხეულის მასის ინდექსსაც (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიმსუქნის ხარისხს – რედ.)ითვალისწინებდნენ. როგორც ვარაუდობდნენ, ჭარბი წონა წარმოსახვის დიდი უნარის მქონე ხალხს აღმოაჩნდა.

პუტკუნების უპირატესობით

სუსტი აღნაგობის ქალები მამაკაცებს პუტკუნებზე ნაკლებად მოსწონთ, ირწმუნებიან ამერიკელი მკვლევარები, რომლებმაც 60 ათასზე მეტი ქალი და მამაკაცი გამოკითხეს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს მარტო მამაკაცების „პრიმიტიული“ გემოვნებით კი არა, არამედ სიგამხდრის შესაძლოა მიზეზებითაც იყოს გამოწვეული, რადგან ყველა სუსტი ტანის ქალი ასეთი ბუნებით არ არის. ბევრი მათგანი, ვისაც საკუთარი ტანი არ მოსწონს, გამუდმებით დიეტას იცავს, საჭიროზე ნაკლებ საკვებს იღებს, ჭარბი წონის გამო ნერვიულობს და ა.შ. რაც სხვადასხვა დაავადებას იწვევს. სწავლულ მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ გახდომის იდეამ არ უნდა განდევნოს ცხოვრებიდან აუარება სხვა, გაცილებით უფრო სასიხარულო განცდები.

„პატივმოყვარეობის“ ზომები

მოდის იტალიელ მკვლევართა აზრით, მარკეტოლოგები განგებ ამცირებენ ტანსაცმლის ზომებს, რომ მყიდველ ქალბატონებს თავი იმაზე უფრო ტანკენარი ეგონოთ, ვიდრე სინამდვილეში არიან და, ამით გახარებულებმა, უფრო მეტი სამოსელი შეიძინონ.

განსაკუთრებით ხშირად ამ ხრიკს ძვირიანი ტანსაცმლის მწარმოებლები მიმართავენ. რეალურად კი, ბოლო 40 წლის განმავლობაში ქალების წელმა საშუალოდ 4 სანტიმეტრი მოიმატა.

თუმცა ისიცაა, რომ ზომების საგანგებოდ შემცირებას გარკვეული სირთულეები ახლავს: საქმე ისაა, რომ გაურკვევლობის გამო პროდუქციის 30 პროცენტი არ იყიდება. სწორედ ამის გამოა, რომ წლეულს ევროკავშირის ქვეყნებში მწარმოებლებისთვის ზომების ერთიანი მარკირების შემოღებას გეგმავენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.303; ევრო - 2.572;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.070;
100 რუბლი - 3.5546; თურქული ლირა - 0.783;
აზერბაიჯანული მანათი - 1.383;
1000 სომხური დრამი - 4.848.

ამინდი 7 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +29
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +16,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +31
თბილისი:	ღამე +18,	დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE